ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნანა ბიგვავა

საარჩევნო სისტემის ფორმირების შესახებ მმართველი პარტიის გადაწყვეტილებებზე გავლენის მომხდენი ფაქტორები

(ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს მაგალითზე)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფ. იაგო კაჭკაჭიშვილი

თბილისი

2021

აბსტრაქტი

დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე საქართველოში მოქმედი საარჩევნო სისტემა წარმოადგენს აკადემიური და პოლიტიკური დებატების მნიშვნელოვან საკითხს. საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების პრაქტიკა. საარჩევნო სისტემასთან მიმართებაში სხვადასხვა დროს გატარებულმა რეფორმებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. მრავალი კვლევის მიხედვით, საარჩევნო სისტემის ფორმირების პროცესში ნათლად იკვეთება მმართველი პოლიტიკური პარტიების როლი. საქართველოს შემთხვევაშიც საარჩევნო სისტემის რეფორმირების პროცესში გადამწყვეტი გავლენა აქვთ მმართველ პოლიტიკურ პარტიებს. ერთპარტიული მმართველობის პირობებში სახელისუფლებო პარტიას შესაძლებლობა ეძლევა ერთპიროვნულად შეცვალოს მოქმედი საარჩევნო სისტემის სხვადასხვა კომპონენტები. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნების ერთპარტიული მმართველობის დროს, საქართველოს საარჩევნო სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. შესაბამისად, ნაშრომის მიზანია იმის კვლევა, თუ რა ფაქტორებმა და გარემოებებმა მოახდინა გავლენა ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გადაწყვეტილებებზე საარჩევნო სისტემის რეფორმირების პროცესში. აღნიშნული მიზნის შესაბამისად დასახულია შემდეგი ამოცანები: 1. საქართველოში მოქმედი საარჩევნო სისტემის კვლევა და შეფასება. 2. საარჩევნო სისტემის რეფორმირებაში ჩართული აქტორების გავლენის კვლევა. 3. მმართველი პოლიტიკური ძალის კონკრეტული გადაწყვეტილებების განმაპირობებელი ფაქტორების კვლევა. ამოცანების შესაბამისად შემუშავებულია შემდეგი ჰიპოთეზები: 1. მმართველი პოლიტიკური ძალების მიერ საარჩევნო სისტემაში ცვლილებების განხორციელება ემსახურებოდა არა სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო გარემოს შექმნას, არამედ ძირითადად მიზნად ისახავდა ძალაუფლების შენარჩუნებას და გამყარებას. 2. ყოველი შემდეგი ელექტრონული ციკლის შემდეგ მმართველი პოლიტიკური ძალა შერეულ საარჩევნო

სისტემას იყენებდა როგორც არაკონკურენტულ უპირატესობას. კვლევის პროცესში გაანალიზდა საქართველოს საარჩევნო სისტემის რეფორმირების ძირითადი ეტაპები და აღნიშნულ პროცესში ჩართული აქტორების ინტერესები და მოტივაციები. აგრეთვე, დამუშავდა საარჩევნო სისტემების რეფორმირების საკითხზე არსებული ძირითადი თეორიული მოდელები და პრაქტიკული მიდგომები.

როგორც კვლევამ აჩვენა: 1. მმართველი პოლიტიკური ძალების გადაწყვეტილებებს საარჩევნო სისტემის რეფორმირების პროცესში მნიშვნელოვნად განაპირობებდა მათი ვიწრო პოლიტიკური ინტერესები და საკანონმდებლო ორგანოში წარმომადგენლობის მაქსიმალურად გაზრდის სურვილი. 2. გამოიკვეთა კონკრეტული პოლიტიკური ლიდერების გადამწყვეტი გავლენა და მათი პერსონალური სარგებელი, რომელიც განაპირობებდა პარტიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს საარჩევნო სისტემასთან მიმართებაში. 3. გამოიკვეთა რეგიონული ელიტების მნიშვნელოვანი როლი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, მათ შორის საარჩევნო სისტემასთან მიმართებაში. 4. გამოიკვეთა პარტიული სისტემის განვითარების დაბალი დონე და შიდაპარტიული დემოკრატიის ნაკლებობა როგორც მმართველ ასევე ოპოზიციურ პარტიებში. 5. გამოიკვეთა საერთაშორისო აქტორების პოზიტიური გავლენა საქართველოს საარჩევნო სისტემის რეფორმირების საკითხზე.

Abstract

Since Georgia regained independence, existing electoral system has become a hot topic for academic and political debate. Free and fair elections are crucial for Georgia's democratic development. Reforms carried out in the filed of electoral system had an important imcpat on ongoing political procecess. Based on multiple research, in the process of electoral system design the ruling party's are having dominant influence. In case of Georgia, political parties also have dominant influence on process of electoral system design. In the course of one-party rule, dominant party has opportunity single-handedly reform exisiting electoral system. During the rule of United National Movement and Georgian Dream important reforms of the electoral system have been elaborated Based on this, the goal of the study is to research which factors and circumstances has played significant influence on Georgian Dream – Democratic Georgia's and United National Movements decision making in the process of electoral system reform. Following objectives are set for this research: 1. Study and evaluate of the existing electoral system. 2. Study influence of the actor's involved in the electoral system design. 3. Study factors influencing decision making process of the ruling parties. In accordance to the listed objectives, following hypotheses have been proposed: 1. Implemented electoral reforms were not serving the creation of the free and fair system, they were motivated by the desire of the ruling parties to stay in power and strengthen existing system. 2. After every single electoral cycle, the ruling parties were using existing mixed-proportional system as uncompetitive advantage. In the process of research, major stages of electoral system reform were analyzed as well as interests and motivation of the core actors involved in this process. Additionally, the relevant theoretical models and practical approaches on electoral system design were examined.

The results of the study have demonstrated that: 1. For ruling parties during the process of electoral reform the self-motivated political interest and desire to increase legislative representation were having vital influence. 2. The personal motivation of the political leaders emerged as a decisive factor influencing party decision making in the process of electoral system design. 3. The study also has crystalized the influence of the regional elite's on the ruling parties decision making. 4. The study highlights low level of party system development and lack of intra-

party democracy both in ruling and opposition parties. 5. The study highlights the positive role of the international actor's involvement in the design of the Georgia's electoral system.

სარჩევი

1. შესავალი 8

2. ლიტერატურის მიმოხილვა 11

2.1. არჩევნების და საარჩევნო სისტემის მნიშვნელობა 12

2.2. საარჩევნო სისტემებსა და პარტიულ სისტემებს შორის ურთიერთდამოკიდებულების თეორიული ასპექტები 16

2.3. პარტიების მიერ საარჩევნო სისტემის ფორმირების მოდელები 19

2.4. პოლიტიკური პარტიები და მათი როლი საარჩევნო სისტემის რეფორმირების პროცესში 21

2.5. პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილებების მიღების ანალიზი რაციონალური არჩევანის თეორიის მიხედვით. 23

2.6. პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილების მიღების ანალიზი ელიტების თეორიის მიხედვით 24

2.7. არჩევნები პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში 27

2.8. საქართველოს საარჩევნო სისტემის რეფორმირების მიმოხილვა (2005-2021) 28

2.9. არჩევნების შეფასება ეუთო/ოდირის მიერ (2003-2020) 33

3. კვლევის მეთოდი 37

4. კვლევის შედეგები 39

4.1. ზოგადი რეზიუმე 39

4.2 მოქმედი საარჩევნო სისტემის შეფასება. 41

4.3. „ოფისის ძიების/office-seeking“ მოდელი და პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილება რაციონალური თეორიის პრიზმაში. 44

4.4. „პერსონალური სარგებლის/personal gain“ მოდელი. 48

4.5. საერთაშორისო აქტორების გავლენა და „გარე გავლენის/external influence“ მოდელი 50

4.6. პოლიტიკური ელიტის გავლენა და რეგიონალური ელიტების როლი 55

4.7. საბჭოთა გამოცდილების გავლენა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე (საარჩევნო სისტემის მაგალითზე) 57

5. რეკომენდაციები 59

6. დისკუსია 61

7. გამოყენებული ლიტერატურა 64

8. დანართი 68

8.1. თავფურცელი ინგლისურად 68
8.2. ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი 69

1. შესავალი

სამართლიანი, თანასწორი და გამჭვირვალე საარჩევნო სისტემა წარმოადგენს თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედს. აგრეთვე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეებს ქვეყანაში მოქმედი საარჩევნო სისტემის და მის მიერ გათვალისწინებული პროცედურების მიმართ ჰქონდეთ მაღალი ხარისხის ნდობა. აღნიშნული აისახება იმაში, რომ კონკრეტული საარჩევნო სისტემის და კანონმდებლობის მიერ განსაზღვრული პროცედურებით არჩეული ხელისუფლება ისარგებლებს განსაკუთრებით მაღალი ლეგიტიმაციის ხარისხით. საარჩევნო სისტემის არჩევა – არის ნებისმიერი დემოკრატიული სახელწიფოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის შიდა პოლიტიკურ გარემოზე და განაპირობებს ქვეყნის პარტიულ სისტემას, ხელს უწყობს ძალაუფლების ტრანზიციის და ხელისუფლებების ცვლილების პროცესს.

საარჩევნო სისტემის ფორმირების პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. „ახალგაზრდა“ და „გარდამავალი“ დემოკრატიებისთვის. სახელმწიფოს ინსტიტუციური განვითარების საწყის ეტაპზე კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს პოლიტიკური კონკურენციის ჯანსაღი ინსტიტუციური ჩარჩო და სამთავრობო ორგანოების ფორმირება მოხდეს მოქალაქეების პოლიტიკური პრეფერენციების მიხედვით და წარმომადგენლობითობის პრინციპის მაქსიმალურად დაცვით.

ბენოითის აზრით, აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესები საარჩევნო სისტემებთან მიმართებაში იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას საარჩევნო სისტემის და პოლიტიკური სოციოლოგიის დარგის მკვლევარებისგან. მისივე შეფასებით, პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკებში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები, საშუალებას აძლევს ამ საკითხის მკვლევარებს დინამიკაში დააკვირდნენ საკვანძო პროცესებს.

ბევრ სხვა სისტემურ და ინსტიტუციურ გამოწვევებთან ერთად, საქართველოსთვის დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე ერთ-ერთ სუსტ მხარედ კვლავ რჩება მოქმედი საარჩევნო სისტემა. დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე საქართველოში მოქმედი საარჩევნო სისტემა პოლიტიკური დაპირისპირების და განხეთქილების საკითხად რჩება. საარჩევნო სისტემასთან მიმართებაში გატარებულმა რეფორმებმა ვერ უზრუნველყო სამართლიანი და კონკურენტუნარიანი საარჩევნო პროცესის ჩამოყალიბება.

ბოლო წლებში გატარებული რეფორმების მიუხედავად, საქართველოში მოქმედი საარჩევნო სისტემა ვერ აკმაყოფილებს რამდენიმე მნიშნელოვან კრიტერიუმს: ის ვერ უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ნების პროპორციულად ასახვას საკანონმდებლო ორგანოში, არ უწყობს ხელს მრავალპარტიულ პარლამენტს და კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებას. ამასთანავე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მაჟორიტარული მანდატების არსებობა, რადგან მაჟორიტარულ ოლქებში გამარჯვებით ყველა მმართველი პარტია გადამწყვეტ უპირატესობას იღებს, რაც გავლენას ახდენს არჩევნების საბოლოო შედეგებზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი ნიჰილისტურად არის განწყობილი მოქმედი საარჩევნო სისტემის მიმართ, რადგან მმართველი პოლიტიკური ძალის რეიტინგის შემცირების მიუხედავად, არსებული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად უმრავლესობას საკანონმდებლო ორგანოში კვლავ მმართველი პარტია ინარჩუნებს.

არსებულ საარჩევნო სისტემას ახასიათებს მთელი რიგი სისტემური და პროცედურული ნაკლოვანებები. ზემოთ ხსენებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის პროცესში გადამწყვეტი როლი ეკისრება მმართველ პოლიტიკურ პარტიას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევა ფოკუსირდება იმ ფაქტორებზე რაც გავლენას ახდენს მმართველი პოლიტიკური პარტიების გადაწვეტილების მიღებაზე საარჩევნო სისტემასთან მიმართებაში.

შესაბამისად, ამ ნაშრომის **მიზანია** იმის კვლევა, თუ რა ფაქტორებმა და გარემოებებმა მოახდინა გადამწყვეტი გავლენა ქართული ოცნებისა და ნაციონალური მოძრაობის გადაწყვეტილებებზე საარჩევნო სისტემის რეფორმირების პროცესში.

მიზნის შესაბამისად, დასახულია შემდეგი **ამოცანები**:

1. საქართველოში მოქმედი საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბების ეტაპების კვლევა და შეფასება.

2. საარჩევნო სისტემის რეფორმირებაში ჩართული აქტორების გავლენის კვლევა.

3. მმართველი პოლიტიკური ძალის კონკრეტული გადაწყვეტილებების განმაპირობებელი ფაქტორების კვლევა.

დასახული ამოცანების შესაბამისად, შემუშავებულია შემდეგი **ჰიპოთეზები:**

1. მმართველი პოლიტიკური ძალების მიერ საარჩევნო სისტემაში ცვლილებების განხორციელება ემსახურებოდა არა სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო გარემოს შექმნას, არამედ ძირითად მიზნად ისახავდა ძალაუფლების შენარჩუნებას და გამყარებას.

2. ყოველი შემდგომი ელექტორალური ციკლის შემდეგ, მმართველი პოლიტიკური ძალა შერეულ საარჩევნო სისტემას (მაჟორიტარულ კომპონენტს) იყენებდა როგორც არაკონკურენტულ უპირატესობას.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

საარჩევნო სისტემების, პოლიტიკის მეცნიერებების და სოციოლოგიის სხვადასხვა დარგის მკვლევრებისთვის პოსტ-საბჭოთა სივრცეში მიმდინარე პროცესები წარმოადგენს კვლევისა და დაკვირვების საინტერესო სფეროს. ცხადია, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან როგორც ისტორიული, გეოგრაფიული, ასევე სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური განზომილებით. ბოლო 30 წლის განმავლობაში აღნიშნულ ქვეყნებში მიმდინარე ტრანზიციული ეტაპები როგორც ინსტიტუციურ, ასევე სამოქალაქო და სოციალურ დონეზე მკვლევრებს საინტერესო ვარაუდების დამტკიცება/უარყოფის შესაძლებლობას აძლევს. სხვა სოციო-პოლიტიკურ საკითხებთან ერთად, პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მაგალითზე დაინტერესებულ მკვლევრებს შეუძლიათ იკვლიონ და გაანალიზონ ის პროცესები, რომლებიც გამოიარეს ამ სახელმწიფოებმა დამოუკიდებელი საარჩევნო სისტემის ფორმირების გზაზე. აღნიშნული პროცესების სათანადოდ სტრუქტურირება და შეფასება განსაკუთრებით ღირებულია, რადგან საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ, თუ რა ეტაპები გამოიარა სხვადასხვა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის მემკვიდრეობის გათვალისწინებით და რა გამოწვევები და დაბრკოლებები უშლის ხელს ამ სახელმწიფოებს სამართლიანი და კონკურენტული საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბების გზაზე.

სოციალური მეცნიერებების მკვლევრის გადმოსახედიდან, საქართველოს შემთხვევა ამ კონტექსტში განსაკუთრებით ღირებულია, რადგან ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველოს საარჩევნო სისტემამ ტრანსფორმაციის მნიშვნელოვანი ეტაპები გამოიარა.

საქართველოს საარჩევნო სისტემის ტრანსფორმაციის სრული სტრუქტურირება და ანალიზი ზედმეტად მოცულობითი თემა არის და აღნიშნული კვლევის ფარგლებში არსებული რესურსები არ იქნებოდა საკმარისი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადავწყვიტე შემერჩია საქართველოს ისტორიის ის პერიოდი, რომელიც მოიცავს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს მმართველობის წლებს. კვლევის

პროცესში სათანადოდ გავაანალიზე და შევაფასე ორივე მმართველი პარტიის როლი და მოტივაციები საქართველოს საარჩევნო სისტემის ფორმირების პროცესში.

2.1. არჩევნების და საარჩევნო სისტემის მნიშვნელობა

ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფო ვალდებულია რეგულარულად ჩაატაროს სამართლიანი და თანასწორი არჩევნები. მისცეს მოქალაქეებს საშუალება დააფიქსირონ საკუთარი პოლიტიკური არჩევანი, არჩევნების შედეგების მიხედვით მოხდეს წარმომადგენლობითი ორგანოების და მთავრობის დაკომპლექტება. თანამედროვე დემოკრატიაში ინდივიდისთვის „ხმის მიცემა“ - არის მოქალაქეობის გამოვლენის ერთ-ერთი ფუნდამენტური საშუალება. (Verba, Scholzman & Brady, 1995)

ქვეყანაში მოქმედი საარჩევნო სისტემა აყალიბებს თამაშის წესებს, რომელთა მიხედვითაც ხდება ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი დემოკრატიული პროცესების წარმართვა. მკვლევრების ნაწილი (Andrew Reynolds, Ben Reilly & Andrew Ellis, 2005) მიიჩნევს, რომ საარჩევნო სისტემის კომპონენტებით მანიპულირება არის ერთ-ერთი ყველაზე მარტივი და ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად შესამჩნევი მაქინაცია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია დემოკრატიული პროცესების მართვა. მთლიანად საარჩევნო სისტემის ან მისი კონკრეტული კომპონენტების ცვლილებამ შესაძლოა გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ რომელი პოლიტიკური აქტორები და რა ფორმაციით აყალიბებენ ხელისუფლებას. არჩევნებში მონაწილე პარტიების მიერ მიღებულმა ხმების ზუსტად ერთი და იგივე რაოდენობამ სხვადასხვა საარჩევნო სისტემის მეშვეობით შესაძლოა ხელი შეუწყოს როგორც კოალიციური მთავრობის ასევე ერთპარტიული მმართველობის ჩამოყალიბებას.

რადიკალურად განსხვავებული საბოლოო შედეგების და სამთავრობო ფორმაციების გარდა კონკრეტული საარჩევნო სისტემა გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებულ პარტიულ სისტემაზე და ფართო პოლიტიკურ კლიმატზე. შერჩეული საარჩევნო სისტემა ასევე გავლენას ახდენს

იმაზე, თუ როგორ ვითარდება ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ელიტა და რამდენად არსებობს ელიტებს და ელექტორატს შორის უკუკავშირის და ურთიერთდამოკიდებულების ინსტრუმენტები. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის, თუ როგორ ატარებენ წინაასაარჩევნო კამპანიებს შედარებით დიდი და მცირე პარტიები სხვადასხვა საარჩევნო სისტემის ფარგლებში. (Norris, 1997)

აგრეთვე, ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია ის, თუ რა ტიპის საზოგადოებაში მოქმედებს კონკრეტული საარჩევნო სისტემა. საყურადღებოა, საზოგადოებაში არსებული იდეოლოგიური, რელიგიური, ეთნიკური, რეგიონალური და ლინგვისტური ფრაგმენტაცია.(Andrew Reynolds, Ben Reilly & Andrew Ellis, 2005).

ახალგაზრდა და გარდამავალი დემოკრატიების შემთხვევაში სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შედეგად ხელისუფლება შესაძლოა დადგეს ლეგიტიმაციის კრიზისის საფრთხის წინაშე. ჰაბერმასის (Habermas,1975) აზრით, ლეგიტიმაციის საფრთხის არსებობის შემთხვევაში კითხვის ქვეშ დგება ხელისუფლების ადმინისტრაციული და ინსტიტუციური შესაძლებლობები. ამ შემთხვევაში რაციონალური აქტორი ეცდება მოსალოდნელი კრიზისის თავიდან აცილებას. ლეგიტიმაციის კრიზისის თავიდან აცილების ან დაძლევის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ადგილობრივი, საპრეზიდენტო ან საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებით ელექტორალური უპირატესობის დამტკიცება, რაც შესაძლებლობას აძლევს მმართველ პარტიას განაახლოს ხალხის მიერ მიღებული მანდატი.

საარჩევნო სისტემების მკვლევრების აზრით, იშვიათია შემთხვევები როდესაც საარჩევნო სისტემის შერჩევა ხდება საჭირო სიფრთხილით, კონკრეტული ისტორიული და სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით. ყველა დემოკრატიამ უნდა აირჩიოს საარჩევნო სისტემა, მაგრამ ამ არჩევანზე ხშირ შემთხვევაში გავლენას ახდენს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. ენდრიუ რეინოლდსი და ბენ რაილის (Andrew Reynolds, Ben Reilly & Andrew Ellis, 2005) აზრით, ხშირ შემთხვევაში პოლიტიკურ აქტორებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა საარჩევნო სისტემების და მათი სათანადო კონსტრუირების შესახებ. შესაბამისად, შერჩეული საარჩევნო

სისტემის შედეგებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ქვეყანაში არსებულ პარტიულ სისტემაზე.

რეინოლდი და რაილი ასევე საუბრობენ მეორე შესაძლებლობაზე, როდესაც კონკრეტული პოლიტიკური აქტორები ფლობენ შესაბამის ცოდნას და კომპეტენციას საარჩევნო სისტემების ფორმირების შესახებ და იღებენ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს პარტიული უპირატესობის მოსაპოვებლად. მათივე აზრით, ორივე შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილება გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა ქვეყნის დემოკრატიული და ინსტიტუციური განვითარების გზაზე მნიშვნელოვან გამოწვევად ჩამოყალიბდეს.

საარჩევნო სისტემის შერჩევის და ფორმირების პროცესში ასევე მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული სოციო-პოლიტიკური გარემო, ის თუ რამდენად განვითარებულია არსებული პარტიული სისტემა. ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ის თუ რამდენად ძლიერია იდეოლოგიური კომპონენტი პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გარდა ამისა, არსებულ გარემოზე გავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონე.

IDEA-ის მიერ შემუშავებული საარჩევნო სისტემების გზამკვლევის „Electoral System Design: The New International IDEA Handbook“ მიხედვით სამართლიანი და კონკურენტული საარჩევნო სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. ***უზრუნველყოს წარმომადგენლობით პარლამენტს***

   გზამკვლევის ავტორები გამოარჩევენ წარმომადგენლობითობის რამდენიმე ხარისხს. მათი აზრით მნიშვნელოვანია დაცული იყოს გეოგრაფიული, პოლიტიკური და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლობის ხარისხი.

2. ***არჩევნების ხელმისაწვდომობა და შედეგების მნიშვნელობა***

   საარჩევნო პროცესში მონაწილეობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის, გარდა კანონით გათვალიწინებული შემთხვევებისა. ასევე, მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ხმის ფასის ხაზგასმა.

3. *ხელს უწყობდეს ფართო პოლიტიკური შეთანხმების და კოალიციების ჩამოყალიბებას*

   გზამკვლევის ავტორების აზრით, გარდა იმისა, რომ ეფექტიანი საარჩევნო სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს საკანონმდებლო ორგანოს დაკომპლექტების სამართლიან წესებს, ამასთანავე ის უნდა უბიძგებდეს სისტემაში მოქმედ პოლიტიკურ აქტორებს ზეპარტიული შეთანხმებების და კოალიციების ჩამოყალიბებისკენ.

4. *უზრუნველყოს სტაბილური და ეფექტიანი მთავრობა*

5. *უზრუნველყოს მთავრობის და არჩეული წარმომადგენლების ანგარიშვალდებულება*

   გზამკვლევის ავტორების აზრით, ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, რომ არჩეული წარმომადგენლების (დეპუტატების) და მათი ამომრჩევლის შორის არსებობდეს ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხი. არჩეული წარმომადგენლებისთვის მომდევნო არჩევნებში გამარჯვება და მანდატის შენარჩუნება პირდაპირ დამოკიდებული უნდა იყოს მათ საქმიანობაზე და წინასაარჩევნო კამწაპანიის დროს გაცემული დაპირებების შესრულებაზე.

6. *მხარს უჭერდეს საპარლამენტო ოპოზიციის არსებობას და საქმიანობას*

   გზამკვლევის ავტორების აზრით, წარმატებული დემოკრატიის ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია ოპოზიციური პარტიების ჩართულობა და კონტროლი.

IDEA-ის მიერ შემუშავებული გზამკვლევის მიხედვით, საარჩევნო სისტემის სათანადო ფორმულირებას აქვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დადებითი მხარე, რომელიც განსაკუთრებულად პოზიტიურ როლს თამაშობს ახალგაზრდა დემოკრატიების შემთხვევაში. საუბარია ე.წ. *კონფლიქტების მოგვარების (conflict management*) განზომილებაზე, რადგან სხვადასხვა საარჩევნო სისტემას შეუძლია საზოგადოებაში არსებული დაძაბულობას და დაპირისპირებას მისცეს მშვიდობიანი და ყველასთვის მისაღები ინსტიტუციური ხასიათი. გარდა ამისა, გზამკვლევის ავტორების მიხედვით მნიშვნელოვანია, რომ შერჩეული სისტემის ფარგლებში ოპოზიციურ პარტიებს მოქალაქეების მზარდი მხარდაჭერის შემთხვევაში ჰქონდეთ შანსი როგორც მინიმუმ შემდეგი არჩევნებისთვის გააძლიერონ საკუთარი პოზიციები, ან როგორც მაქსიმუმ გამარჯვება იზეიმონ. აღნიშნული შესაძლებლობის არ

არსებობის შემთხვევაში იზრდება იმის ალბათობა, რომ ოპოზიციური აქტორები არასისტემური ინსტრუმენტებით ეცდებიან არსებული თამაშის წესების ცვლილებას, რამაც შეიძლება საზოგადოებაში კონფრონტაცია და დაპირისპირება გამოიწვიოს.

2.2. საარჩევნო სისტემებსა და პარტიულ სისტემებს შორის ურთიერთდამოკიდებულების თეორიული ასპექტები

სოციალურ მეცნიერებების და საარჩევნო სისტემების მკვლევრები ათწლეულების განმავლობაში მსჯელობენ საარჩევნო სისტემების და პოლიტიკური პარტიების ურთიერთდამოკიდებულ არსებობაში რომლის როლი ატარებს გადამწვეტ მნიშვნელობას?

სოციალური მეცნიერებების მკვლევარმა და ეკონომისტმა ჯოზეფ კოლომერმა (Colomer, 2018) ეს საკითხი ცნობილ „კვერცხის და ქათმის“ დილემას შეადარა. მისი აზრით, თანამედროვე ბიოლოგიამ დაამტკიცა, რომ დასაწყისში იყო კვერცხი, მაგრამ ბევრად უფრო მარტივი ვიდრე ქათმის კვერცხი. კოლომერი ანალოგიურ პარალელს ავლებს საარჩევნო სისტემების და პოლიტიკური პარტიების ირგვლივ არსებულ დავაზე. მისი აზრით, თავდაპირველად იყო არჩევნები, ოღონდ ძალიან მარტივი არჩევნები, რომელსაც არ ახასიათებდა რთული პროცედურული ელემენტები. ამის შემდეგ, როდესაც არჩევნების შედეგად ჩამოყალიბდა პარტიები და პარტიული სისტემა, მათი საქმიანობის შედეგად ჩამოყალიბდა უფრო რთული და კომპლექსური საარჩევნო სისტემები. საარჩევნო სისტემების შემდგომ განვითარებას კოლომერი ასევე უკავშირებს პოლიტიკური პარტიების საქმიანობას. მისი აზრით, პოლიტიკური პარტიის გადაწყვეტილებაზე, როდესაც საქმე ეხება საარჩევნო სისტემის არჩევას ან მოდიფიკაციას გავლენას ახდენს პარტიის შედარებითი სიძლიერე, ცვლილების შედეგად მოსალოდნელი სარგებელი და სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების უნარი.

კოლომერის (Colomer, 2018) აზრით, საარჩევნო სისტემის წესების ცვლილება *რაციონალური სტრატეგიის ნაწილი* შესაძლოა იყოს იმ პოლიტიკური პარტიებისთვის, რომლებიც მომდევნო

არჩევნებისთვის მარცხის საფრთხის წინაშე დგანან. მისივე განმარტებით, თუკი დაგეგმილი ცვლილებების განხორციელებამ შესაძლოა მმართველ პოლიტიკურ პარტიას შედარებით სარგებელი (comparative gain) მოუტანოს, ასეთი გადაწყვეტილების მიღების ალბათობა კიდევ უფრო იზრდება. კოლომერი ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მმართველ პოლიტიკურ პარტიას ერთპიროვნულად უნდა ჰქონდეს საკმარისი რესურსი დაგეგმილი საარჩევნო ცვლილებების გასატარებლად. იმ შემთხვევაში, როდესაც მმართველ პოლიტიკურ პარტიას ფართო პოლიტიკური კონსენსუსის გარეშე და ოპოზიციასთან მოლაპარაკებების წარმოების გარეშე შეუძლია კონკრეტული ცვლილების გატარება, იზრდება იმის ალბათობა, რომ კონკრეტული გადაწყვეტილებები ვიწრო პარტიული ინტერესების გათვალისწინებით იქნება მიღებული.

გარდა ამისა, კოლომერი (Colomer, 2018) იზიარებს საარჩევნო სისტემის მკვლევრებში დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომ ორპარტიული სისტემა უფრო მაღალი ალბათობით ჩამოაყალიბებს და შეინარჩუნებს მაჟორიტარულ სისტემას, ხოლო მრავალპარტიული სისტემის შემთხვევაში პოლიტიკური აქტორები მხარს დაუჭერენ ისეთ საარჩევნო სისტემას, რომელიც პროპორციული წარმომადგენლობის მეტ ხარისხს უზრუნველყოფს.

კოლომერის (Colomer, 2018) მიერ მოყვანილი ემპირიული ანალიზის შედეგად, მაჟორიტარული ტიპის სისტემიდან პროპორციულისკენ გადასვლის ალბათობა იზრდება, როდესაც ვერც ერთი პოლიტიკური პარტია გარანტირებულად ვერ იღებს დამაჯერებელ უმრავლესობას არსებული (მაჟორიტარული/შერეული) სისტემის ფარგლებში. სისტემის პროპორციულობის გაზრდით და ბარიერის დაწევის გზით ასეთ სისტემაში მცირე პარტიებს მიეცემათ შესაძლებლობა მოხვდნენ პარლამენტში და სწორედ ამ მცირე პარტიებთან კოალიციაში შესვლით მმართველი პარტია შეძლებს შეინარჩუნოს მართვის სადავეები.

იგივე მიმართულებით ავითარებს მსჯელობას სელიმ ერგუნი (Lijphart, 1994) და აცხადებს, რომ მაჟორიტარული/შერეული სისტემიდან მეტად პროპორციულისკენ გადასვლა უფრო მოსალოდნელია როდესაც პოლიტიკურ ველზე წარმოდგენილია სამი ძირითადი მოთამაშე.

მისი აზრით, ყველაზე დიდი ელექტორალური მხარდაჭერის მქონე პოლიტიკური პარტია ყოველთვის რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის წინააღმდეგი ინება. ყველზე მცირე ძალის მქონე პოლიტიკური პარტია ყოველთვის მომხრე იქნება, რადგან მას სურს მეტად პროპორციული სისტემის ხარჯზე საკუთარი წარმომადგენლობის გაზრდა. ერგუნის აზრით, ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს სიდიდით მეორე პარტიის შედარებითი სიძლიერე. სიდიდით მეორე პარტია მხარს დაუჭერს მეტად პროპორციულზე გადასვლას მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც ის მნიშვნელოვან კონკურენციას ვერ უწევს მმართველ პარტიას არსებული სისტემის პირობებში და მაგ შემთხვევაში შესაძლოა სიდიდით მესამე პარტიასთან კოალიციის გაფორმებით შეძლოს სახელისუფლებო პარტიის დამარცხება.

მკვლევრების ნაწილი მიიჩნევს, რომ საარჩევნო სისტემა განაპირობებს ქვეყანაში არსებულ პარტიულ სისტემას და აყალიბებს პოლიტიკური აქტორებისთვის მოქმედების ჩარჩოს (Duverger, 1951; Taagepera & Shugart, 1989; Lijphart, 1994). აღნიშნულ მოსაზრებას მკვლევრების ნაწილი ,,დიუვერჟეს პრინციპს“უწოდებს, რომლის მიხედვითაც, სწორედ საარჩევნო სისტემა არის დამოუკიდებელი ცვლადი და ახდენს გავლენას პარტიულ სისტემაზე. მკვლევრების მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ პოლიტიკური პარტიები და იდეოლოგიურად გახლეჩილი საზოგადოება ახდენს გავლენას არსებულ საარჩევნო სისტემაზე (Lipset & Rokkan, 1967; Colomer, 2005).

მკვლევრების ნაწილი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ განვითარებადი და ტრანზიტული დემოკრატიების შემთხვევაში, მმართველი პოლიტიკური პარტიები საარჩევნო სისტემის ფორმირების პროცესში ხელმძღვანელობენ საკუთარი პოლიტიკური *self-interested* ინტერესებით და მსგავსი ტიპის საარჩევნო სისტემებს მოიხსენიებენ როგორც *„electoral system“*. გარდა ამისა, ჰარფსტს (Harfst, 2013) ასეთი ტიპის საარჩევნო სისტემების არსებობის ემპირიული მაგალითებიც მოჰყავს. მისი აზრით, მმართველი პოლიტიკური პარტიები აყალიბებენ ისეთ საარჩევნო სისტემებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საკანონმდებლო ორგანოში ადგილების რაოდენობის მაქსიმალურად გაზრდას (seat-maximizing parties).

აღნიშნულის მაგალითად ჰარფსტს მოჰყავს სამხრეთ კორეის, მექსიკის და რუსეთის ფედერაციის საარჩევნო სისტემის ფორმირების მაგალითები.

2.3. პარტიების მიერ საარჩევნო სისტემის ფორმირების მოდელები

კენეთ ბენოითი (Benoit, 2004) არის ერთ-ერთ მკვლევარი, რომელიც საარჩევნო სისტემების ფორმირების პროცესს აფასებს ვიწრო-პარტიული პოლიტიკური ინტერესის პერსპექტივიდან.

ბენოითის მსაგვსად, ე.წ. „დიუვერჟეს წესს“ საპირისპირო ლოგიკით აფასებენ ბელასიაკი და ჰალსი (Bielasiak & Hulsey, 2013) მათი აზრით, ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური პარტიები საკუთარი ინტერესების თანახმად ცვლიან საარჩევნო სისტემას და პროცედურებს.

ბენოითის აზრით, *რაციონალური არჩევანის თეორიის* ფარგლებში მოქმედი პოლიტიკური პარტია ნებისმიერ საარჩევნო ცვლილებებს გაატარებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ბენოითის მიერ შემოთავაზებულ მოდელში, გატარებული ცვლილებების მთავარი მიზანია - მომდევნო არჩევნებში საკანონმდებლო ორგანოში ადგილების რაოდენობის გაზრდა.

საარჩევნო სისტემის და პროცედურების ფორმირების პროცესთან მიმართებაში კენეთ ბენოითი გვთავაზობს ე.წ. *„ოფისის ძიების/office-seeking“ მოდელს*, რადგან ამ მოდელის მიხედვით კონკრეტული პოლიტიკური პარტია ეცდება ჩამოაყალიბოს ისეთი ტიპის საარჩევნო სისტემა, რომელიც მაქსიმალურად გაზრდის მის წარმომადგენლობას საკანონმდებლო ორგანოში.

კენეთ ბენოითის მიერ შემოთავაზებულ მოდელთა შორის თემის განხილვის პროცესში სწორედ აღნიშნული მოდელი მიმაჩნია ერთ-ერთ ყველაზე რელევანტურად, რადგან სწორედ „ოფისის“ შენარჩუნება/მოპოვება არის ახალაღმოჩენილი პოლიტიკური პარტიების ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია და მათთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია იდეოლოგიური კომპონენტი და სახელმწიფო თუ პარტიული სისტემის მრავალფეროვნება და მდგრადობა. აღნიშნული

მოსაზრება განსაკუთრებით შეესაბამება პოსტ-ტოტალიტარულ რეჟიმებს, სადაც ნაკლებად არის განვითარებული პარტიული სისტემა და პოლიტიკურ პარტიებს და საზოგადოებას შორის არ არის ჩამოყალიბებული ურთიერთკავშირისთვის საჭირო მექანიზმები და ინსტრუმენტები. ამ მოსაზრებას ადასტურებს თვითონ კენეთ ბენოითი, როდესაც ის ამბობს, რომ „office-seeking" მოდელი ახასიათებს ახალგაზრდა დემოკრატიებს, სადაც მმართველი პოლიტიკური პარტიების მთავრი მიზანია, საკანონმდებლო წარმომადგენლობის მაქსიმალურად გაზრდა. მაგალითად მოჰყავს რუსეთის ფედერაცია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და პოსტ-ავტორიტარული ტაივანი.

აგრეთვე, კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე არანაკლებ საინტერესოა ბენოითის მიერ შემოთავაზებული *„პერსონალური სარგებლის/personal gain" მოდელი.* მოცემული მოდელის მიხედვით, ხშირ შემთხვევაში საარჩევნო სისტემის ფორმირების პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობს კონკრეტული პოლიტიკური ლიდერის პირადი პოლიტიკური ან ფინასური მოტივაცია და ინტერესი. ეს მოდელი კონცენტრირდება კონკრეტული გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე და მათ პირად ან ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებზე.

ბენოითის (Benoit, 2004) მიერ შემოთავაზებულ მოდელებს შორის, ასევე საინტერესოა ე.წ. *„გარე გავლენის/external influence" მოდელი,* რომლის მიხედვითაც საარჩევნო სისტემის ფორმირებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს კონკრეტული გარე აქტორების ჩართულობა.

„გარე გავლენის" მოდელის მაგალითად ბენოითს მოჰყავს მეტროპოლიების გავლენა ყოფილი კოლონიების ინსტიტუციურ განვითარებაზე ან სამხედრო კონფლიქტის შემდეგ გამარჯვებული სახელმწიფოს გავლენა დამარცხებული სახელმწიფოს შიდა ინსტიტუციურ პროცესებზე. აგრეთვე, ეს მოდელი ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო არასამთავრობო და სახელმწიფოთაშორისო აქტორების გავლენაზე, განსაკუთრებით განვითარებადი და ტრანზიციული დემოკრატიების შემთხვევაში. საქართველოს შემთხვევის განხილვის დროს არც ყოფილი მეტროპოლიის და არც ომში გამარჯვების შედეგად მოპოვებული გავლენების შემთხვევა რელევანტურად არ ჩაითვლება. საერთაშორისო აქტორების ჩართულობა და

გავლენა საქართველოს სარჩევნო სისტემის ფორმირებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის

მმართველობის დროს და განსაკუთრებით აქტიური გახდა ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში. მთელი რიგი მნიშნელოვანი გადაწყვეტილებები როგორც წინა ასევე მოქმედი ხელისუფლებების დროს სწორედ საერთაშორისო პარტნიორების მნიშნველოვანი მედიაციის და ჩართულობის შედეგად იქნა მიღწეული.

ზენოითის აზრით, იმისათვის, რომ მმართველმა პარტიამ ვიწრო პოლიტიკური ინტერესიდან გამომდინარე გადაწყვიტოს საარჩევნო სისტემის ცვლილება, საჭიროა მას ერთპიროვნულად ჰქონდეს ამ ცვლილების გატარების რესურსი, რადგან სხვა პარტიებთან თანამშრომლობის საჭიროების შემთხვევაში, მას მოუწევს სხვა პოლიტიკური პარტიების ინტერესების გათვალისწინება.

2.4. პოლიტიკური პარტიები და მათი როლი საარჩევნო სისტემის რეფორმირების პროცესში

მაქს ვებერის მიხედვით, პოლიტიკური პარტია არის გაერთიანება/ჯგუფი, რომლის მთავარი მიზანია პოლიტიკური კონტროლის (ძალაუფლების) მოპოვება.(Weber, 1964) აღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიტიკური პარტიის ძირითადი ამოცანაა - დააგროვოს საკმარისი ელექტორალური მხარდაჭერა, რომ ან კოალიციური ან ერთპარტიული მმართველობით მოვიდეს ხელისუფლებაში. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გამარჯვებული პოლიტიკური პარტია აკომპლექტებს მთავრობას და მისი მთავარი ამოცანაა მომდევნო ელექტორალური ციკლის ფარგლებში არსებული ელექტორალური მხარდაჭერის შენარჩუნება და გაფართოება.

თანამედროვე დემოკრატიის ფუნქციონირებისთვის აუცილებელია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. აგრეთვე, მნიშვნელოვანია რომ ნებისმიერ მოქალაქეს ჰქონდეს უფლება არჩეულ იქნეს და აირჩიოს

საკუთარი წარმომადგენელი, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე საპარლამენტო წარმომადგენლობის დონეზე. დემოკრატიულ სახელმწიფოში პოლიტიკური ძალაუფლების წყაროს წარმოადგენს ხალხი და სწორედ ხალხის მიერ არჩეულ წარმომადგენლებს ეძლევათ საშუალება, რომ უმრავლესობის სახელით აღასრულონ ხელისუფლება.

ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) გზამკვლევის მიხედვით, დემოკრატიის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოების თითოეულ წევრს ჰქონდეს საშუალება მონაწილეობა მიიღოს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.

გამოარჩევენ პოლიტიკური პარტიების სამ ძირითად ფუნქციას:

1. პოლიტიკური ინიციატივების ფორმულირება, ინიცირება და განხორციელება.
2. არჩევნებში მონაწილეობის მიღება.
3. მართვა. მიუხედავად იმისა, კონკრეტული პოლიტიკური პარტია ხელისუფლებაშია თუ ოპოზიციაში. პოლიტიკური პარტია ჩართული უნდა იყოს დემოკრატიული მმართველობის პროცესებში.

განვითარებადი და ტრანზიციული დემოკრატიების შემთხვევებში მმართველი პოლიტიკური პარტიები ხშირ შემთხვევაში საკუთარ ინტერესს და ამოცანებს აიგივებენ სახელმწიფოს ინტერესებთან და არჩევნებიდან არჩევნებამდე პარტიულ რესურსთან ერთად იყენებენ ადმინისტრაციულ და ინსტიტუციურ რესურს, რათა შეიქმნან უფრო მომგებიანი საარჩევნო და ინსტიტუციური გარემო, რაც მათ ხელისუფლების შენარჩუნებაში დაეხმარება. (Strom, 2012)

2.5. პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილებების მიღების ანალიზი რაციონალური არჩევანის თეორიის მიხედვით.

პოლიტიკური პარტიები წარმომადგენლობით ინსტიტუტებს აღიქვამენ ე.წ. zero-sum განზომილებაში, რადგან ნებისმიერი საარჩევნო სისტემის შემთხვევაში მანდატს იღებს ერთი კონკრეტული პარტია და დანარჩენი მოთამაშეები წაგებულის როლში რჩებიან. აღნიშნულიდან გამომდინარე, რაციონალურ პოლიტიკურ აქტორს ყოველთვის ექნება სურვილი საკუთარი ძლიერი მხარეების გათვალისწინებით ვიწრო-პარტიულ ინტერესებს მოარგოს საარჩევნო სისტემის წესები.

რაციონალური არჩევანის თეორიის მიხედვით, პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართული ნებისმიერი აქტორი მოიაზრება რაციონალურ მოთამაშედ. (Kiser &Bauldry, 2005) პოლიტიკის ნებისმიერ საფეხურზე იქნება ეს შიდაპარტიული პროცესები, ლობისტური საქმიანობა, საგარეო პოლიტიკის განზომილება თუ შიდა პოლიტიკის საკითხები. რაციონალური თეორიის პრიზმაში ყოველთვის არსებობს სარგებლის და დანაკარგის კალკულაციის პრინციპი და ძალაუფლებისთვის მებრძოლი პოლიტიკური აქტორები. (Holton, 2008) აღნიშნული თეორია წარმატებით გამოიყენება სოციალური მოძრაობების, პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილების და საზოგადოების არჩევნებში ჩართულობის საკითხების საკვლევად.

რაციონალური არჩევანის თეორიის მიხედვით, სოციუმში არსებული ძალაუფლების ტრანზიციის პროცესში ჩართული აქტორები ოპერირებენ რაციონალური გათვლების მიხედვით. გარდა ამისა, აღნიშნული თეორიის მიხედვით, სახელმწიფოში არსებული „ძალაუფლების რესურსი“ შეზღუდულია, რადგან მხოლოდ ინდივიდუალურ აქტორებს ან აქტორების მცირე ჯგუფს შეუძლიათ ძალაუფლების აღსრულება სხვა დანარჩენ საზოგადოებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა პოლიტიკური აქტორი საკუთარი ინტერესების გასატარებლად ცდილობს ამ რესურსის მაქსიმალური რაოდენობის გაკონტროლებას. (Dobratz, Waldner & Buzzell, 2019)

კისერის და ბაულდრის (Kiser & Bauldry,2005) აზრით, რაციონალური არჩევანის თეორია განსაკუთრებით ვალიდურია თანამედროვე პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილების მიღების ანალიზის დროს. მათი აზრით, დღევანდელი პოლიტიკური პარტიები სულ უფრო ნაკლებად მიჯაჭვულნი არიან კონკრეტულ იდეოლოგიაზე და მაქსიმალურად ორიენტირებული არიან საკუთარი ელექტორალური მხარდაჭერის გაზრდაზე. აღნიშნული მნიშვნელოვნად ზრდის რაციონალურ კომპონენტს მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2.6. პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილების მიღების ანალიზი ელიტების თეორიის მიხედვით.

ელიტების თეორია სოციოლოგიაში ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ყველა საზოგადოებაში არის მცირე ჯგუფები, რომლებიც აკონტროლებენ სისტემაში არსებული ძალაუფლების მნიშვნელოვან (გადამწყვეტ) ნაწილს. გარდა ამისა, ელიტების თეორიისთვის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ე.წ. ელიტების რეკრუტირების (elite recruitment) პროცესი, რადგან მმართველი ელიტა მუდმივი განახლების პროცესშია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის, რომ თანამედროვე საზოგადოებებში ხშირია ელიტების ცვლილების შემთხვევები. იმის მიუხედავად, რომ მმართველი ელიტა სხვადასხვა რეკრუტირების მექანიზმებით იძენს ახალ წევრებს. საზოგადოებაში დაგროვილმა უკმაყოფილებამ, სოციალური დეპრივაციის მაღალმა ხარისხმა ან სოციო-პოლიტიკურმა კრიზისმა შეიძლება გამოიწვიოს ელიტების ცვლილება.

ასეთი ტიპის პროცესების ასახსნელად, ჯერ კიდევ 1935 წელს ვილფრედო პარეტომ (Vilfredo Pareto) ჩამოაყალიბა ე.წ. ელიტების ცირკულაციის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ძველი ელიტების ჩამოშორების შემთხევაში აუცილებლად ისევ ჩამოყალიბდება მმართველი

პოლიტიკური ელიტა, რომელიც საკუთარი ინტერესების მიხედვით განაგრძობს მის ხელთ არსებული ძალაუფლების გამოყენებას.

ელიტების თეორიის მიხედვით, რეგულარული არჩევნების ჩატარება არის ერთ-ერთი მანიპულაციური ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც ხდება საზოგადოების დარწმუნება იმაში, რომ ინდივიდს აქვს გავლენა მთავრობის საქმიანობაზე. იქიდან გამომდინარე, რომ პოლიტიკური ძალაუფლება და გადაწყვეტილების მიღების ბერკეტები კონტროლდება ელიტების მიერ არჩევნებში მონაწილე სხვადასხვა კანდიდატები და პოლიტიკური პარტიები საზოგადოებას და ინდივიდს ალტერნატივას ვერ სთავაზობენ. აღნიშნული თეორიის ფარგლებში არჩევნები განიხილება როგორც პოლიტიკური ელიტის სხვადასხვა ჯგუფებს შორის გავლენების გადანაწილების პროცესი, რადგან არჩევნების შედეგი მნიშვნელოვნად არ ცვლის ელიტების კონტროლს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. ელიტების თეორიის ჩარჩოში არჩევნებს, ისევე როგორც პოლიტიკურ პარტიებს და საკანონდებლო საქმიანობას აქვს სიმბოლური დატვირთვა. (Dobratz, Waldner & Buzzell, 2019)

ელიტების გავლენა საარჩევნო სისტემის ფორმირებაზე საფუძვლიანად შეისწავლა სოციალური მეცნიერების მკვლევარმა ამელ აჰმედმა (Ahmed, 2012)

მისი შეფასებით, თანამედროვე დასავლურ პოლიარქიებში მოქმედი საარჩევნო სისტემები და პროცედურები თავდაპირველად ისე შემუშავდა, რომ დაბალანსებულიყო ე.წ. ფრანჩაიზის გაფართოების შედეგად ელიტებზე განხორციელებული ზეწოლა. აჰმედის შეფასებით, პრო-დემოკრატიული და ანტი-დემოკრატიული ელიტები ვერ თანხმდებოდნენ ხმის მიცემის უფლების გაფართოებაზე, მაგრამ ელიტების ორივე ნაწილი რაციონალურად მიიჩნევდა ფრანჩაიზის გაფართოების შემთხვევაში კონკრეტული ელექტორალური ჩამკეტების ჩადებას ახალ საარჩევნო სისტემებში, რადგან ხარისხობრივად მეტი მოსახლეობის მონაწილეობას შესაძლოა საფრთხე შეექმნა არსებული სისტემისთვის.

ელიტებს სურდათ არსებული პოლიტიკური წარმომადგენლობითობის და პოლიტიკური სპექტრის გაფართოება, რადგან აღნიშნული გაზრდიდა სისტემის ლეგიტიმაციის ხარისხს და

ამავდროულად არაერთგვაროვანი ელიტის სხვადასხვა ჯგუფები “ახალ ამომრჩეველში“ ხედავდა პოლიტიკური სარგებლის მნიშვნელოვან წყაროს.

პოლიტიკური ელიტა მხარს უჭერს საარჩევნო ფრანჩაიზის და საარჩევნო სისტემის ისეთ ცვლილებებს, რომელიც საბოლოო ჯამში მოახდენს არსებული რეჟიმის მასშტაბირებას და არ შეიტანენ მნიშვნელოვან ცვლილებებს სისტემაში არსებულ ბალანსში. ასეთი ტიპის რეჟიმებში არსებული საარჩევნო პროცედურები აკმაყოფილებს დემოკრატიის სტანდარტებს, მაგრამ, შექმნილი ინსტიტუტები ემსახურება მმართველი ელიტების ძალაუფლების შენარჩუნებას.

საარჩევნო სისტემების მკვლევარების ნაწილი გამოხატავს მოსაზრებას, რომ ტრანზიციული დემოკრატიების და ავტოკრატიების შემთხვევაში მმართველი პოლიტიკური პარტიები იყენებენ მაჟორიტარულ და შერეულ საარჩევნო სისტემებს რეგიონალურ ელიტებთან ურთიერთკავშირის შესანარჩუნებლად. ტრანზიციულ დემოკრატიებს განვითარების საწყის ეტაპზე ახასიათებთ პარტიული სისტემის განვითარების შედარებით დაბალი ხარისხი, რაც ასევე გამოიხატება იმაში, რომ როგორც მმართველი ასევე ოპოზიციური პარტიები არიან საკმაოდ ცენტრალიზებული და მათი საქმიანობა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში არა წინასაარჩევნო პერიოდში საკმაოდ შეზღუდულ ხასიათს ატარებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მმართველი პოლიტიკური პარტიები რეგიონებზე პოლიტიკური და ელექტორალური კონტროლის კუთხით მნიშვნელოვნად ეყრდნობიან რეგიონალურ ელიტებს და მათ ლოიალურობის საპასუხოდ სთავაზობენ კონკრეტულ პოლიტიკურ სარგებელს, რომელიც ხშირ შემთხვევაში ეკონომიკურ სარგებელშიც ტრანსფორმირდება. (Reuter & Buckley (2016)

აღნიშნულის გათვალისწინებით, მმართველი პოლიტიკური პარტიები ნაკლები ალბათობით თანხმდებიან მეტად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას, რადგან მაჟორიტარული ადგილების შემცირებამ შესაძლოა რეგიონალურ ელიტებთან არსებული ურთიერთ სარგებელზე დაფუძნებული ურთიერთობა საფრთხის ქვეშ დააყენოს. საყურადღებოა ისიც, რომ რეგიონალური ელიტების წარმომადგენლები ნაკლები

ენთუზიაზმით აფასებენ პარტიული სიით მოპოვებულ საპარლამენტო მანდატს, რადგან ასეთი ტიპის მანდატი კიდევ უფრო აძლიერებს მმართველი პარტიის მათზე გავლენას და ამასთან ერთად ისინი კარგავენ საკუთარ რეგიონთან პირდაპირი აფელირების საშუალებას.

2.7. არჩევნები პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში

Freedom House-ის მიერ შემუშავებული თავისუფლების ინდექსის მიხედვით, 15 პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკიდან მხლოდ ხუთია შეფასებული როგორც „სრულად თავისუფალი/fully free" შვიდი ქვეყანა შეფასებულია როგორც „არა თავისუფალი/not free" და დანარჩენი ხუთი (მათ შორის საქართველოც) შეფასებულია როგორც „ნაწილობრივ თავისუფალი/partly free" ქვეყნები.

70 წლიანი საბჭოთა მემკვიდრეობა დღემდე მნიშვნელოვნად აფერხებს პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკების განვითარებას სხვადასხვა კუთხით, მათ შორის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება პოლიტიკური ძალაუფლების საბჭოთა (კომუნისტურ/სოციალისტური) გამოცდილება. ჩემის აზრით, აღნიშნული მოსაზრება განსაკუთრებით რელევანტურია საქართველოსთან მიმართებაში.

პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მკვლევრები აცხადებენ, რომ ყოფილი კომუნისტური რესპუბლიკებისთვის დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე სამართლიანი და კონკურენტუნარიანი საარჩევნო სისტემა ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

ვლადიმირ გელმანის (GEL'MAN, 2010) შეფასებით, პოსტ-საბჭოთა ქვეყნების შემთხვევაში „თავისუფალი და სამართლიანი" არჩევნების ფენომენი მხოლოდ წესების და პროცედურების კონტექსტში არ უნდა იყოს განხილული. მისი აზრით, დემოკრატიული ტრანზიციის შემთხვევაში არჩევნები როგორც მექანიკური პროცესი არ უნდა იყოს შეფასებული და მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს მმართველ ელიტებს, სახელისუფლებო პარტიის მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის მობილიზაციას და წინასაარჩევნო პროცესში და

არჩევნების დღეს მომხდარ დარღვევებს, რადგან აღნიშნული ფაქტორების ერთობლიობამ გამართული საარჩევნო სისტემის პირობებშიც შესაძლოა გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს არჩევნების საბოლოო შედეგებზე.

გელმანის აზრით, პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია განვასხვავოთ დემოკრატიის სხვადასხვა განზომილება. მისი შეფასებით, პერიოდული არჩევნები (ხელისუფლებების ცვლილების გარეშე) უზრუნველყოფს დემოკრატიის ე.წ. „მინიმალურ“ (პროცედურულ) დონეს და იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს დემოკრატიის „მაქსიმალური“ (ქმედითი) დონე, ასევე საჭიროა პოლიტიკური და ინსტიტუციური პლურალიზმი, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის მაღალი ხარისხი და პოლიტიკური ელიტების ანგარიშვალდებულების მაღალი დონე.

ანალოგიურ მოსაზრებას ავითარებს მარია ომილიჩევა (Omelicheva,2015), მისი აზრით, დასავლეთის მცდელობა, მხარი დაუჭიროს სამართლიან არჩევნებს ქვეყნებში სადაც არ არის თავისუფალი მედია, ნაკლებად განვითარებულია სამოქალაქო საზოგადოება და არ არის დაცული სიტყვის თავისუფლება, მოსალოდნელ შედეგს ვერ მოიტანს და მეტიც, ადგილობრივ საზოგადოებაში დემოკრატიული პროცესების მიმართ უნდობლობას დათესავს.

ომელიჩევას აზრით, პოსტ-საბჭოთა ელიტებმა მალევე ჩამოაყალიბეს ისეთი კვაზი-ავტორიტარული რეჟიმები, რომლებსაც დემოკრატიული ინსტიტუტების ფასადური არსებობა ახასიათებს, მათ შორის პერიოდული არჩევნების ჩატარებით, რომელიც ამომრჩეველს ხელისუფლების ცვლილების რეალურ შესაძლებლობას არ აძლევს.

2.8. საქართველოს საარჩევნო სისტემის რეფორმირების მიმოხილვა (2005-2021)

2005 წლის 23 თებერვალს ცვლილება შევიდა საქართველოს კონსტიტუციაში, რომლის თანახმად პარლამენტის შემადგენლობა განისაზღვრა პროპორციული სისტემით არჩეული 100

და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 50 წევრით. ცვლილებებს საფუძვლად დაედო 2003 წელს ჩატარებული რეფერენდუმი, ცვლილების შედეგად, საკანონმდებლო ორგანოს წევრთა რაოდენობა 235-დან 150-მდე შემცირდა. (საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო, 2016)

2008 წლის 28 იანვარს, ოპოზიციურმა პარტიებმა საქართველოს მთავრობას ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისის დასაძლევად 17-პუნქტიანი მემორანდუმი შესთავაზეს. მემორანდუმის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის შეცვლას და რეგიონალურ მრავალმანდატიანი სისტემის შემოღებას. 14 თებერვალს ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ოპოზიციის მოთხოვნებს წერილობით უპასუხა, მათ შორის საარჩევნო სისტემის ნაწილში. მმართველმა პარტიამ განაცხადა, რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა შეიცვლებოდა რეგიონალურ-პროპორციული სისტემით ეუთო-ს რეკომენდაციების თანახმად. საპარლამენტო ოპოზიციას ხელისუფლების მიერ ინიცირებულ კანოპროექტის კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია და საბოლოოდ მმართველმა პარტიამ დაამტკიცა სისტემა, რომლის მიხედვითაც 75 დეპუტატი აირჩეოდა პროპორციული სიით და 75 ერთმანდატიანი ოლქების მიხედვით(მაჟორიტარი), სადაც გამარჯვებულად ჩაითვლებოდა კანდიდატი, რომელიც 30% +1 ხმას მიიღებდა. თავდაპირველად, დაგეგმილი ცვლილებების არ განხორციელება მმართველმა პარტიამ იმით ახსნა, რომ არ ჰქონდა საკმარისი ხმების რაოდენობა. ოპოზიციური დეპუტატების ან მაჟორიტარი დეპუტატების მხარდაჭერის გარეშე აღნიშნული ცვლილებები ვერ განხორციელდებოდა, ვინაიდან ოპოზიციამ ბოიკოტი გამოაცხადა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მმართველმა პარტიამ განაცხადა, რომ ცვლილებების გასატარებლად მათ საკუთარი გუნდის მაჟორიტარების მხარდაჭერა სჭირდებოდათ და ისინი ერთმანდატიანი ოლქების სისტემას ამჯობინებდნენ. (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2008)

2011 წელს „ოპოზიციური რვიანის“ შემოთავაზებით, 150 დეპუტატიდან 75 წევრი უნდა არჩეულიყო ერთიანი პროპორციული სისტემით, ხოლო 75 - რეგიონულ-პროპორციული სისტემით. ორივე სისტემისთვის ბარიერი 5% უნდა ყოფილიყო, ხოლო

ერთმანდატიანი ოლქების ნაცვლად რეგიონში მანდატების რაოდენობა ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით უნდა დადგენილიყო. აღნიშნული წინადადება ოპოზიციური პარტიის ლიდერებმა 2010 წლის 4 ოქტომბრის კონფერენციაზე გააჟღერეს. რამდენიმე თვის შემდეგ, მაშინდელ მმართველ პარტიასთან, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან, გამართული არაერთი სამუშაო შეხვედრის შედეგად, რომელიც სისტემის ცვლილებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა, „ოპოზიციური რვიანი“ ახალი წინადადებით გამოვიდა. ახალი წინადადება საარჩევნო სისტემის ორ ალტერნატიულ მოდელს მოიცავდა: პირველი მოდელის თანახმად, 150 წევრიანი პარლამენტის 75 წევრი ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებში უნდა არჩეულიყო, თუმცა ერთი პირობით: პარტია მაჟორიტარული ოლქების ხარჯზე იმაზე მეტ ადგილს ვერ აიღებდა პარლამენტში, რაც მის მიერ პროპორციულ არჩევნებში მიღებულ ხმებს აღემატებოდა. მაჟორიტარის გამარჯვებისთვის ბარიერი 30%-დან 50%-მდე უნდა გაზრდილიყო. პარლამენტის მეორე ნახევარი კი პროპორციული სიით დაკომპლექტდებოდა. ამ შემოთავაზების თანახმად, პროპორციულ არჩევნებში მიღებულ ხმების პროცენტულობას უნდა განესაზღვრა პარტიის როგორც მაჟორიტარული, ასევე პარტიული მანდატების ერთობლივი რაოდენობა. საარჩევნო სისტემის მეორე მოდელის თანახმად, პარლამენტის 2/3 პროპორციული სისტემით უნდა არჩეულიყო, ხოლო 1/3 - ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ოლქებში 50%-იანი ბარიერით. შესაბამისად, უნდა მომხდარიყო მაჟორიტარული ოლქების ახალი საზღვრების დადგენა. თუმცა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოზიციის გამო, რომელიც მაშინ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას არ ემხრობოდა, საარჩევნო სისტემა არ შეცვლილა. (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2011)

2011 მიიღეს ახალი საარჩევნო კოდექსი, რომლის თანახმად საარჩევნო ბარიერი კვლავ განსაზღვრულია არანაკლებ 5 %-ით. (საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო, 2016)

2015 წლის 31 აგვისტოს „ქართულმა ოცნებამ“ გაავრცელა გაცნხადება სადაც აღნიშნა, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის არ აპირებდა საარჩევნო სისტემის ძირეულ ცვლილებას

და მოხდებოდა მხოლოდ მაჟორიტარული საარჩევნო უბნების ზომების გათანაბრება და ასევე მაჟორიტარულ ოლქებში შენარჩუნდებოდა 50%-იანი ბარიერი. (ISFED,2015)

2017 წლის ივნისში მმართველმა პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 2020 საპარლამენტო არჩევნებისთვის შეენარჩუნებინა შერეული საარჩევნო სისტემა და სრულად პროპორციულ სისტემაზე გადავლა მომხდარიყო 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის. მმართველმა გუნდმა აღნიშნული გადაწყვეტილება პარტიაში არსებული აზრთა სხვადასხვაობით ახსნა.

2019 წლის ნოემბერში, ქართული ოცნების მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები რომელიც ითვალისწინებდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლას საქართველოს პარლამენტმა არ დაუჭირა მხარი. ქართული ოცნების მაჟორიტარული დეპუტატების ნაწილმა განაცხადა, რომ არ ეთანხმებოდნენ აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებს და მაჟორიტარული კომპონენტის შენარჩუნებაზე გაამახვილეს ყურადღება. (Agenda.ge, 2019)

2019 წლის 16 ნოემბერს საქართველოს პრემიერ მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა, რომ საქართველო გადავიდოდა სრულად პროპორციულ მოდელზე 2024 წლიდან. მისი შეფასებით პროპორციული სისტემა საქართველოს პოლიტიკური კულტურის ხარისხობრივ ცვლილებას უზრუნველყოფდა. (Agenda.ge,2019)

2019 წლის 20 დეკემბერს, პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ, ოპოზიციასთან კონსულტაციების შემდეგ საზოგადოებას საარჩევნო სისტემის ცვლილებები შესთავაზა, რომელიც ითვალისწინებდა პროპორციული წესით 100 დეპუტატის არჩევას, ხოლო მაჟორიტარული წესით მოხდებოდა 50 დეპუტატის არჩევა. (რადიო თავისუფლება, 2019) „ქართულმა ოცნებამ“ აღნიშნული ინიციატივა მოსახლეობას შესთავაზა იმის შემდეგ, რაც ჩავარდა ე.წ. სრულად პროპორციულ მოდელზე გადასვლა.

2020 წლის 29 ივნისს, ძირითადი პოლიტიკური პარტიების შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე და მმართველი პოლიტიკური პარტიის მიერ ინიცირებული საკონსტიტუციო

ცვლილებების საფუძველზე საქართველოს საარჩევნო სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. შინაარსობრივად, საარჩევნო სისტემა ისევ შერეული ტიპის დარჩა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად გადაიხარა პროპორციული მოდელისკენ, რაც აისახა იმაში, რომ პროპორციული ადგილების რაოდენობა გაიზარდა 120-მდე და მაჟორიტარული ადგილების რაოდენობა შემცირდა 30-მდე. გარდა ამისა, მცირე პარტიების მხარდასაჭერად 5%-ნი ბარიერი შემცირდა და პარლამენტში მოსახვედრად პოლიტიკური პარტიისთვის საკმარისი გახდა პროპორციული სიით ხმების 1%-ის მიღება. (რუსთავი 2. 2020)

2021 წლის 2 ნოემბერს პარტია ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარემ განაცხა, რომ მმართველ პარტიას საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილების ვალდებულება არ გააჩნია და დღეისათვის არსებული 5%-ანი საარჩევნო ბარიერი სრულად ლეგიტიმურია. (რადიო თავისუფლება, 2021)

2021 წლის 30 ნოემბერს ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ მიმდინარე ეტაპზე საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც საარჩევნო სისტემის რეფორმირებას გულისხმობს არ განიხილება და მათი განხილვა დამოკიდებული იქნება „სხვადასხვა სუბიექტის ქცევასა და ქმედებაზე“ (რადიო თავისუფლება, 2021)

2.9. არჩევნების შეფასება ეუთო/ოდირის მიერ (2003-2020)

2004 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, საბოლოო ანგარიშის მიხედვით, წინა არჩევნებთან შედარებით აღინიშნება შესამჩნევი პროგრესი და რამდენიმე ასპექტში ქვეყანა მიუახლოვდა ეუთო-ს წინაშე აღებულ ვალდებულებებს და დემოკრატიული არჩევნებისთვის დამახასიათებელ სტანდარტებს. გარდა ამისა ანგარიშის ავტორები აცხადებენ, რომ:

„ზოგიერთ შემთხვევაში ადმინისტრაციული რესურსების არადანიშნულებისამებრ გამოყენება მხოლოდ ერთი კანდიდატის სასარგებლოდ იმის მაჩვენებელია, რომ კვლავაც ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული სახელმწიფო ადმინისტრაცია და პოლიტიკური პარტიების სტრუქტურები“(OSCE, 2004)

ანგარიშში ასევე უარყოფითად შეფასდა ის ფაქტი, რომ 2003 წლის 25 ნოემბერს, უზენაესმა სასამართლომ გააუქმა საპარლამენტო არჩევნების შედეგების პროპორციული ნაწილი და მაჟორიტარული ნაწილი ძალაში დატოვა.

2003 წლის საპარლამენტო არჩევნები ეუთოს-ს მისიის ანგარიშის თანახმად:

„2003 წლის 2 ნოემბერს გამართული საპარლამენტო არჩევნები არ შეესაბამებოდა ეუთო-ს წინაშე ნაკისრ მთელ რიგ ვალდებულებებს და დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა საერთაშორისო სტანდარტებს. არჩევნების შედეგად გამოჩნდა, რომ ხელისუფლებას არ ჰქონდა პოლიტიკური ნება ჩაეტარებინა ჭეშმარიტად დემოკრატიული პროცესი.“(OSCE, 2004)

გარდა ამისა, ანგარიშშია საუბარია იმაზე, რომ ადგილი ჰქონდა ფართოდ გავრცელებულ და სისტემურ საარჩევნო გაყალბებებს და აღნიშნულმა გაყალბებებმა გავლენა მოახდინა არჩევნების საბოლოო შედეგებზე.

2004 წლის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნები, ანგარიშის მიხედვით (OSCE, 2004). 2004 წლის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნები მეტად კონკურენტულ და დემოკრატიულ

გარემოში ჩატარდა. ამასთან ერთად, ანგარიშში საუბარია იმაზე, რომ საარჩევნო პროცესს რიგი დარღვევები ახასიათებდა. ანგარიშის ავტორები აცხადებენ, რომ მომდევნო არჩევნები იქნება იმის ინდიკატორი თუ რამდენად სურს საქართველოს დემოკრატიული არჩევნების ჩატარება.

2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, ეუთოს სადამკვირვებლო მისიამ შემაჯამებელ ანგარიშში განაცხადა, რომ არჩევნები ზოგად დემოკრატიულ სტანდარტებს აკმაყოფილებდა, მაგრამ გამოვლინდა მნიშნელოვანი გამოწვევები, რომლებიც სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას(OSCE, 2008). ანგარიშში ასევე საუბარი იყო „ფართოდ გავრცელებულ დაშინების და ზეწოლის ფაქტებზე. სადამკვირვებლო მისიის შეფასებით, ბუნდოვანი იყო ზღვარი ნაციონალური მოძრაობის ქმედებებსა და სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების შორის. ანგარიშის ავტორების შეფასებით, ხმების დათვლის და შეჯამების პროცესი, საჩივრების განხილვის პრაქტიკა არ შეესაბამებოდა საქართველოს ეუთო-ს წინაშე აღებული ვალდებულებების სტანდარტს.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნები, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შეფასებაში ნათქვამია, რომ „ზოგადად საპარლამენტო არჩევნებმა საქართველოს მოსახელობას მისცა საშუალება სასურველი კანდიდატი მრავალ კანდიდატს შორის აერჩიათ, თუმცა, დაფიქსირდა მრავალი პრობლემა, რამაც აღნიშნული პროცესი არათანაბარი და არასრულყოფილი გახადა“.(OSCE, 2008)

ანგარიშის ავტორების შეფასებით, არსებული საარჩევნო კოდექსი არათანაბარ პირობებს ქმნიდა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნები ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის შემაჯამებელი ანგარიში იწყება შემდეგი სიტყვებით:

„1 ოქტომბრის საპარლამეტო არჩევნები მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის, რომელიც შესაბამისობაშია ეუთოს და ევროპის საბჭოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან“(OSCE, 2012)

ანგარიშის ავტორების შეფასებით, არჩევნები ჩატარდა კონკურენტულ გარემოში და ახალი საარჩევნო კოდექსი მთლიანობაში ხელს უწყობდა დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, თუმცა მას კვლავ ახასიათებდა მნიშნელოვანი ნაკლოვანებები.

ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის შეფასებით 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები *„ეფექტურად ადმინისტრირებული და გამჭვირვალე იყო.*

2016 წლის საპარლამენტო არჩევნები ეუთოს/ოდირის შეფასების თანახმად:

„კონკურენტული და კარგად ადმინისტრირებული იყო, ძირითადი თავისუფლებები ზოგადად დაცული იყო. თუმცა კამპანიის მშვიდ და ღია ატმოსფეროზე ზეგავლენა მოახდინა ბრალდებებმა უკანონო აგიტაციის შესახებ და ძალადობის რამდენიმე შემთხვევამ” (OSCE, 2016)

ანგარიშში ასევე საუბარია იმაზე, რომ მნიშვნელოვანია შემდეგ არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე საარჩევნო კოდექსის საფუძვლიანი გადახედვა ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის პირობებში მოხდეს.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემაჯამებელი ანგარიშის მიხედვით:

„არჩევნები კონკურენტუნარიანი და პროფესიონალურად ადმინისტრირებული იყო. კანდიდატებს წინასაარჩევნო კამპანიის თავისუფლად ჩატარების შესაძლებლობა ჰქონდათ, ხოლო ამომრჩევლებს ნამდვილი არჩევანი გააჩნდათ, თუმცა ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენების შემთხვევებს.“ (OSCE, 2018)

გარდა ამისა, ანგარიშის ავტორების შეფასებით, უმაღლესი რანგის სახელმწიფო ოფიციალური პირები მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში იყვნენ ჩართული.

გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ კენჭისყრის დღემ ზოგადად პროცედურულად გამჭვირვალედ ჩაიარა, ადგილი ჰქონდა „ გარკვეულ პროცედურულ საკითხებს, ბევრი ადგილობრივი დამკვირვებლები და მედიის წარმომადგენლები პოლიტიკური პარტიების

სახელით მოქმედებდნენ და პარტიების წარმომადგენლები პოტენციურად ზეგავლენას ახდენდნენ ამომრჩევლებზე საარჩევნო უბნების გარეთ“.

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შეფასებისას, ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ საარჩევნო გარემო იყო კონკურენტული, თუმცა ორივე მხრიდან წარმოებულმა ნეგატიურმა კამპანიამ პროცესი დააზიანა და ერთ მხარეს არასათანადო უპირატესობა გააჩნდა.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები სადამკვირვებლო მისიის შემაჯამებელი ანგარიშის მიხედვით:

„არჩევნები კონკურენტულ გარემოში და ზოგადად ძირითადი თავისუფლებების დაცვით ჩატარდა. ამის მიუხედავად, ამომრჩევლებზე ზეწოლის შესახებ ფართოდ გავრცელებული ბრალდებები და მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის ბუნდოვანი ზღვარი საარჩევნო პროცესის ზოგიერთი ასპექტის მიმართ საზოგადოების ნდობას ამცირებდა.“

(OSCE, 2020)

გარდა ამისა, ანგარიშის ავტორებმა გააკრიტიკეს ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქები, სადაც ამომრჩევლების არათანაბრად გადანაწილება მოხდა.

„საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებული კარგი პრაქტიკის საპირისპიროდ, ახალი 30 ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქი მხოლოდ პოლიტიკური პროცესის საფუძველზე ჩამოყალიბდა (თუმცა ეს პროცესი კონსენსუსს ეყრდნობოდა), რის შედეგადაც საარჩევნო ოლქებში ამომრჩევლების არათანაბრად განაწილება მოხდა, რამაც საფრთხის ქვეშ დააყენა ხმების თანაბრად განაწილების პრინციპი, რაც თანაბარი საარჩევნო უფლების პრინციპს ეწინააღმდეგება” (OSCE, 2020)

3. კვლევის მეთოდი

აღნიშნული თვისებრივი კვლევა, ახსნით ხასიათს ატარებს. კვლევის მეთოდად გამოყენებულია ჩაღრმავებული ინტერვიუები. შესაბამისად, გამოყენებულია პირველადი მონაცემები. რესპონდენტთა შესარჩევად გამოყენებული იყო არაალბათური, კერძოდ, მიზნობრივი შერჩევა, სადაც მონაწილეები აირჩნენ რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით: შერჩეული რესპონდენტები პროფესიული საქმიანობის ფარგლებში ჩართული იყვნენ თუ არა საქართველოში მიმდინარე სოციო-პოლიტიკურ პროცესებში, კონკრეტულად რომელ პროცესში რა სახით იყვნენ ჩართული.

შერჩეული რესპოდენტები ფლობენ მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას საქართველოს საარჩევნო სისტემის რეფორმირების ეტაპებზე. აღნიშნული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება დამატებით ღირებულებას შესძენს მოცემულ ნაშრომს. ასევე, დაგვეხმარა კონკრეტული პროცესების და არსებული გამოწვევების სათანადოდ გაანალიზებაში.

ჩაღრმავებული ინტერვიუებისთვის შერჩეული ექსპერტების ცოდნამ და პრაქტიკულმა გამოცდილებამ შესაძლებლობა მოგვცა სიღრმისეულად გაგვეანალიზებინა მმართველი პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილებების გამომწვევი მიზეზები. გარდა ამისა, ექსპერტების შეფასებები დაგვეხმარა მკაფიოდ აღგვეწერა მსგავსებები და განსხვავებები ქართული ოცნების და ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს შორის.

საქართველოს საარჩევნო სისტემის რეფორმირების პროცესი ქრონოლოგიურად დავყავი ორ პერიოდად:

1) **ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობა.** 2003-2012 წლებში საარჩევნო სისტემის რეფორმების, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შეფასება

პოლიტიკის ექსპერტების, საარჩევნო სისტემის რეფორმირების პროცესში ჩართული პოლიტიკოსების, კონსტიტუციონალისტების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების და სოციოლოგების მიერ.

2) **ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს მმართველობა.** 2012-2021 წლებში საარჩევნო სისტემის რეფორმების, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შეფასება პოლიტიკის ექსპერტების, საარჩევნო სისტემის რეფორმირების პროცესში ჩართული პოლიტიკოსების, კონსტიტუციონალისტების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების და სოციოლოგების მიერ.

რესპონდენტების შესარჩევად, გამოვიყენე მიზნობრივი შერჩევა. ყველა შერჩეულ რესპონდენტებს ინდივიდუალურად დავუკავშირდი. შედეგად, სულ ჩატარდა 14 ჩაღრმავებული ინტერვიუ. ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობამ, 40-50 წუთი შეადგინა. ინტერვიუები ნახევრად სტრუქტურირებული, ჩაღრმავებული ინტერვიუს ფორმატის გამოყენებით ჩატარდა.

4. კვლევის შედეგები

4.1. ზოგადი რეზიუმე

კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმეტესობის აზრით, მმართველი პოლიტიკური ელიტა როგორც წინა, ასევე მოქმედი ხელისუფლების დროს, არაკეთილსინდისიერად იყენებდა მის ხელთ არსებულ ადმინისტრაციულ და ინსტიტუციურ რესურსს.

რესპონდენტების შეფასებით, როგორც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ასევე ქართული ოცნება საარჩევნო სისტემის რეფორმირების გზაზე ცდილობდნენ დემოკრატიის სტანდარტების გათვალისწინებას (რადგან ეს იყო საზოგადოების და საერთაშორისო პარტნიორების დაკვეთა); თუმცა, ამავე დროს. ისინი ცდილობდნენ და ცდილობენ საარჩევნო სისტემაში ისეთი ჩამკეტების და ბარიერების დატოვებას, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფდა ძალაუფლების სათავეებთან მათ დარჩენას.

რესპონდენტების უმეტესობამ განაცხადა, რომ საარჩევნო სისტემის რეფორმირების პროცესში ორივე მმართველი პარტია ნაკლებ ყურადღებას აქცევდა სახელმწიფოს და პარტიული სისტემის განვითარებას.

რესპონდენტთა შეფასებით, ყველა მმართველი პოლიტიკური პარტია ცდილობდა შერეული საარჩევნო სისტემის შენარჩუნებას. მათი აზრით, დღევანდელი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა, ოღონდ საარჩევნო ბარიერის ზღვარის იმდაგვარად შერჩევა, რომ აღნიშნულმა უზრუნველყოს საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლობითი პრინციპის მაქსიმალური დაცვა.

კვლევის ძირითად კითხვაზე, თუ რა ფაქტორებმა მოახდინა გავლენა „ქართული ოცნების“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გადაწყვეტილებებმა საარჩევნო სისტემის რეფორმირების პროცესში, გამოიკვეთა ოთხო ძირითადი მიგნება:

1. პარტიების ვიწრო-პოლიტიკური ინტერესი, კერძოდ საკანონდებლო ორგანოში წარმომადგენლობის მაქსიმალურად გაზრდის სურვილი. როგორც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

   ასევე ქართული ოცნება საარჩევნო სისტემის რეფორმირების პროცესში მოქმედებდა რაციონალური არჩევანის თეორიის ფარგლებში და იღებდა ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელიც ნაკარნახევი იყო ე.წ. “seat-maximizing” პრინციპით.
2. გამოიკვეთა კონკრეტული პოლოტიკური ლიდერების გადამწყვეტი გავლენა, რომელიც განაპირობებდა პარტიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათ შორის საარჩევნო სისტემასთან მიმართებაში. პოლიტიკური ლიდერების პერსონალური სარგებლით ნაკარნახევი გადაწყვეტილებები მიუთითებს შიდაპარტიული დემოკრატიის დაბალ დონეზე და ზოგადად პარტიული სისტემის სისუსტეზე.
3. კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიგნებაა - რეგიონალური ელიტების როლი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, მათ შორის საარჩევნო სისტემასთან მიმართებაში. გამოიკვეთა მმართველი პარტიების და რეგიონალური ელიტების სიმბიოზი, რომლის ფარგლებშიც მაჟორიტარულ მანდატებს ამოფარებული რეგიონალური ელიტები პოლიტიკური ერთგულების სანაცვლოდ მმართველი პარტიებისგან საკუთარი ბიზნეს-ინტერესების დაცვის გარანტიებს იღებენ.

საერთაშორისო აქტორების პოზიტიური როლი საქართველოს საარჩევნო სისტემის ფორმირების პროცესში. გამოიკვეთა საერთაშორისო აქტორების აქტიური პოზიტიური ჩართულობა, როგორც სისტემის რეფორმირების ასევე არჩევნების მონიტორინგის და შეფასების ნაწილში.

4.2 მოქმედი საარჩევნო სისტემის შეფასება.

რესპონდენტების შეფასებით, მოქმედი საარჩევნო სისტემა ხელს უწყობს ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალის ძალაუფლების შენარჩუნებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ყველა მმართველი პარტია საზოგადოებაში და ფართო პოლიტიკურ სპექტრში არსებული ცვლილებების მოთხოვნის მიუხედავად, ცდილობს შეინარჩუნოს მოქმედი საარჩევნო სისტემა.

„მმართველი პოლიტიკური ძალა ყოველთვის ცდილობს შეინარჩუნოს არსებული საარჩევნო სისტემა, ვინაიდან ხელს აძლევს არსებული საარჩევნო სისტემა. რაზეც მიგვითითებს ის ფაქტი, რომ 1990 წლიდან დღემდე მიმდინარეობს საუბარი საარჩევნო სისტემის ცვლილების საჭიროებაზე. ოპოზიციური პარტიები, რომლებიც არიან ამის ინიციატორი, თვითონვე არ ითვალისწინებს ამას ხელისუფლებაში მოსვლისთანავე.“(კონსტიტუციონალისტი, II)

„მაჟორიტარული სისტემა მმართველ პოლიტიკურ ძალას ანიჭებს უპირატესობას. ამიტომაც ცდილობდნენ მმართველი პარტიები მის შენარჩუნებას. გამოსავალი პროპორციულ სისტემაშია.“(კონსტიტუციონალისტი, I)

,,შერეული სისტემა უფრო აძლიერებს ორ პარტიულობისკენ მიდრეკილებას, პროპორციულთან შედარებით. საქართველოს შემთხვევაში ეს სხვა საკითხია. ფორმალური სისტემიდან არ გამომდინარეობს თავისთავად, მაგრამ მაჟორიტარული ელემენტი ჩვეულებრივ მომგებიანია არსებული ხელისუფლებისთვის, ვინც გინდა იყოს ეს“. (პოლიტიკის ექსპერტი,II)

რამდენიმე რესპონდენტმა დააფიქსირა მოსაზრება, რომ მოქმედი საარჩევნო სისტემა მუშაობს შემდეგი პრინციპით: „გამარჯვებული იღებს ყველაფერს“. შედეგად, ერთ პარტიას ეძლევა შესაძლებლობა მოახდინოს ძალაუფლების სრული კონცენტრაცია.

„დღევანდელი საარჩევნო სისტემა არის მეტწილად პროპორციული, 150 მანდატიდან 120 აირჩევა პროპორციული წესით, 30 მაჟორიტარულით, მაგრამ მმართველობის სისტემა არის „winner takes all" სისტემა. (პოლიტიკოსი,III)

რესპონდენტების შეფასებით, მოქმედი საარჩევნო სისტემა აფერხებს პოლიტიკური და პარტიული სისტემის განვითარებას. მათი აზრით, მოქმედი საარჩევნო სისტემა ვერ უზრუნველყოფს ხელისფლების ცვლილების პრინციპს.

„საქართველოს პირობებში აღმოჩნდა რომ არსებული საარჩევნო სისტემა, ფაქტობრივად ვერ ახდენს იმის პრევენციას რომ არ მოხდეს ძალაუფლების უზურპაცია."

(პოლიტიკის ექსპერტი,I)

„დემოკრატიულ ქვეყანაში ყველა ოლქში ერთი პარტია ვერ გაიმარჯვებს." (პოლიტიკის მეცნიერებების დოქტორი, საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი) *„შერეული სისტემის მრავალი ვერსია არსებობს, მაგრამ ის სისტემა რაც ჩვენთან არის, ალბათ ყველაზე უარესია, იმის გამო რომ ამ სისტემით ჩატარებული არჩევნები ერთმანეთზე აბსოლუტურად არ არის დამოკიდებული, ანუ არ არსებობს გადაბმა ამ ორ სისტემას შორის."* (კონსტიტუციონალისტი, II)

რესპონდენტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ მოქმედი სისტემის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მხარე არის მისი „მაჟორიტარული" კომპონენტი. მათი შეფასებით, „მაჟორიტარული" მანდატი უპირატესობას ანიჭებს მართველ პოლიტიკურ პარტიას. აღნიშნული შეფასება პირდაპირ მოდის თანხვედრაში ნაშრომის ერთ-ერთ თეზისთან., რომლის მიხედვითაც,

„ყოველი შემდგომი ელექტორალური ციკლის შემდეგ, მმართველი პოლიტიკური ძალა შერეულ საარჩევნო სისტემას (მაჟორიტარულ კომპონენტს) იყენებდა როგორც არაკონკურენტულ უპირატესობას."

„საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით მაჟორიტარული სისტემა ძალიან ცუდად მუშაობს საპარლამენტო არჩევნების დონეზე. იმიტომ რომ აქ ოპოზიციას ფაქტიურად არ აქვს შანსი გამარჯვების და მაჟორიტარული სისტემა არის მანდატების დამატება მმართველი პარტიისთვის.“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი)

,, ხელისუფლებაში მყოფი პარტიები იმიტომ არ თმობდა შერეულ საარჩევნო სისტემას, რომ არ თმობდა მაჟორიტარულ კომპონენტს, იმიტომ რომ ეს მისთვის უფრო მომგებიანია. მაჟორიტარულ კომპონენტში, როგორც გამოცდილებამაც აჩვენა, მმართველ პარტიას შანსი აქვს ყველა ან თითქმის ყველა ოლქში გაიმარჯვოს“. (პოლიტიკის ექსპერტი,II)

რესპონდენტების შეფასებით, მოქმედი საარჩევნო სისტემა ვერ აკმაყოფილებს ერთ-ერთ ფუნდამენტურ მოთხოვნას. არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებაში არსებული დაპირისპირების და პოლარიზაციის აღმოფხვრას. დარგის ექსპერტების შეფასებით, რადგან მოქმედი სისტემა გამარჯვებულ პარტიას, ერთპარტიული მმართველობის შესაძლებლობას აძლევს, სხვა პოლიტიკური სუბიექტების ელექტორატში ეს იწვევს იმედგაცრუებას, უნდობლობას და კიდევ უფრო აღვივებს არსებულ პოლარიზაციას და დაპირისპირებას.

„არჩევნების შედეგები აღვივებს საზოგადოებაში პოლარიზაციას, რადგან არჩევნების შედეგები ვერ ახდენს იმავე პროპორციით უმაღლეს პოლიტიკურ და საკანონმდებლო ორგანოში მოსახლეობის პოლიტიკური განწყობების ასახვას.“ (კონსტიტუციონალისტი,II)

„ჩვენი საარჩევნო სისტემა დაპირისპირებას და პოლარიზაციას აღვივებს საზოგადოებაში.“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი)

„გარდამავალი დემოკრატიის პირობებში, ელექტორატს რაც ძალიან სჭირდება, არის ის რომ მათ სჯეროდეთ, ქვეყანაში არჩევნები სამართლიანად ტარდება და ის განცდა, რომ ჩვენთან ეს ყოველივე არასამართლიანია, თავად დემოკრატიის იდეასაც სერიოზულად არღვევს".

(სოციოლოგი,II)

4.3. „ოფისის ძიების/office-seeking" მოდელი და პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილება რაციონალური თეორიის პრიზმაში.

რესპონდენტების ნაწილი აცხადებს, რომ კონკრეტული პოლიტიკური პარტიების მხრიდან „შესაძლო უპირატესობის" გამოყენების მცდელობა განზრახულია და ყოველთვის ემსახურებოდა ძალაუფლების შენარჩუნების სურვილს.

„ყველა ხელისუფლების პირობებში უგამონაკლისოდ ყველა საარჩევნო რეფორმა ემსახურებოდა იმ დროს ხელისუფლებაში მყოფი პარტიებისთვის ძალაუფლების შენარჩუნებას და გაძლიერებას." (პოლიტიკის ექსპერტი,III)

„ქართულმა ოცნებამ" შექმნა ისეთი საარჩევნო სისტემა, რომელიც მას დაეხმარა რომ მესამე ვადით შეენარჩუნებინა ხელისუფლება". (პოლიტიკოსი,IV)

აღნიშნულიდან გამომდინარე, რესპონდენტების უმეტესობა სხვადასხვა ფორმით აცხადებს, რომ, სხვა პოლიტიკური აქტორების, სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო პარტნიორობის ჩართულობამ არ უნდა მისცეს მმართველ პარტიებს აღნიშნული უპირატესობის გამოყენების შესაძლებლობა.

რესპონდენტების უმეტესობა სხვადასხვა ფორმით ეთანხმება მოსაზრებას, რომ ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნების მიერ განხორციელებული საარჩევნო სისტემის ცვლილებებს მნიშვნელოვნად განაპირობებდა ვიწრო-პარტიული ინტერესი და საკანონდებლო ორგანოში წარმომადგენლობის მაქსიმალურად გაზრდის სურვილი. დარგის

ექსპერტების ამ შეფასებას ასევე ადასტურებს ლიტერატურის მიმოხილვის პროცესში განხილული საარჩევნოს სისტემის ფორმირების ე.წ „office-seeking“ და “seat-maximising” მოდელები აღნიშნული შეფასება ადასტურებს ნაშრომის ერთ-ერთ თეზისს, რომლის მიხედვითაც, „მმართველი პოლიტიკური ძალების მიერ საარჩევნო სისტემაში ცვლილებების განხორციელება ემსახურება არა სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო გარემოს შექმნას, არამედ ძირითად მიზნად ისახავს ძალაუფლების შენარჩუნებას და გამყარებას.“

“ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნების

მთავარი სამიზნე იყო ძალაუფლება, მათ ეს ძალაუფლება მოიპოვეს და მერე ყველა მათი ნაბიჯი ემსახურება ამ ძალაუფლების შენარჩუნებას“. (პოლიტიკის ექსპერტი,I)

,,საქართველოში ყველა მმართველი პოლიტიკური პარტია ცდილობდა მოპოვებული ძალაუფლების შენარჩუნებას სხვადასხვა მანიპულაციის გზით, შესაბამისად, არც საარჩევნო სისტემა იყო გამონაკლისი“(პოლიტიკოსი,V)

,, ის, რაც ჩვენს კონსტიტუციას უქნა ჩვენმა პოლიტიკურმა კლასმა გასული 30 წლის მანძილზე, ჩემის აზრით, დანაშაულია სახელმწიფოს წინააღმდეგ. იმიტომ რომ ყოველ ჯერზე კონსტიტუციას ცვლიან ისე, როგორც მოითხოვს ამას ის ვითარება, რომელიც იმ წუთში არის შექმნილი. კონსტიტუცია ყოველ ჯერზე ისე იცვლებოდა, როგორც ეს სჭირდებოდა მმართველ პოლიტიკურ პარტიებს ძალაუფლების შესანარჩუნებლად“
(პოლიტიკოსი,II)

რესპონდენტების ნაწილი ასევე ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ორივე მმართველი პარტია სხვადასხვა ინსტიტუციური და პოლიტიკური ბერკეტის გამოყენებით აფერხებდა კონკრეტული ცვლილებების შეტანას საარჩევნო სისტემაში, რაც ასევე პირდაპირ უკავშირდება მათ ვიწრო-პოლიტიკურ ინტერესს. აღნიშნულ მოსაზრებას რესპონდენტების უმეტესობა აფიქსირებს ე.წ. „მაჟორიტარული მანდატების“ არგაუქმების მოტივების ახსნის დროს.

„90 იანი წლებიდან დღემდე ყველა მმართველი პოლიტიკური პარტია მაჟორიტარულ სისტემას უყურებს, როგორც მთავარ საყრდენს, საიდანაც უნდა შეივსოს მანდატები. აღნიშნულიდან გამომდინარე არც ართ მმართველ პარტიას არ სურს ამ უპირატესობის დათმობა“(პოლიტიკოსი,IV)

რესპონდენტების შეფასებით, „ქართული ოცნების“ მმართველობის პირველ წლებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არსებული შერეული სისტემის პირობებში გეგმავდა ხელისუფლებაში დაბრუნებას და მხოლოდ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ გადაწყვიტეს მხარი დაეჭირათ მეტად პროპორციული სისტემისთვის. აღნიშნულ შეფასებას ასევე ადასტურებს ბენოითის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრება, რომ ტრანზიციული დემოკრატიის პირობებში კონკრეტული პოლიტიკური პარტია მხარს დაუჭერს სისტემურ ცვლილებებს იმ შემთხვევაში, თუ არსებული სისტემის პირობებში ის ვერ ხედავს გამარჯვების შესაძლებლობას.

„მინდა გითხრა რომ ნაციონალური მოძრაობა 2012 წლიდან 2016 წლის პარლამენტში, როდესაც საუბარი იყო მაჟორიტარული მანდატების გაუქმებაზე, არ ემხრობოდნენ ამ ინიციატივას. იმიტომ რომ მაშინ ილუზია ჰქონდათ რომ მალევე დაბრუნდებოდნენ ხელისუფლებაში და ისევ ისე გაინაღდებდნენ მაჟორიტარულ მანდატებს, როგორც მანამდე. მერე შეცვალეს პოზიციები, როცა მიხვდნენ რომ ვერ ბრუნდებიან ხელისუფლებაში.“
(პოლიტიკოსი,II)

კვლევაში ჩართულმა დარგის ექსპერტებმა უარყოფითად შეაფასეს საქართველოში არსებული პარტიული სისტემა. მათი შეფასების თანახმად, საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიები პოლიტიკური გაერთიანებების არცერთ კლასიფიკაციაში არ ჯდება. ქართულ პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ იდეოლოგიური კომპონენტი და მათ არ ახასიათებთ შიდაპარტიული დემოკრატიის საკმარისი ხარისხი.

„კლასიკური გაგებით როგორიც უნდა იყოს პოლიტიკური პარტიები, ასეთი ჩვენთან საერთოდ არ არის.“(პოლიტიკის ექსპერტი, IV)

„ვერ ვიტყვი რომ შიდაპარტიული დემოკრატია ჰქონდათ ან აქვს დღეს რომელიმე პარტიას.“
(ყოფილი პოლიტიკოსი, საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი,I)

,,ჩვენთან, ასე ვთქვათ შიდაპოლიტიკური დემოკრატია არასოდეს არ იყო, არც წინა, არც იმის წინა და არც ახლა მმართველ პარტიებში“(პოლიტიკის ექსპერტი, II)

რესპონდენტების უმეტესობამ განაცხადა, რომ საქართველოს შემთხვევაში მმართველი პოლიტიკური პარტიები საკუთარ ინტერესებს აიგივებენ სახელმწიფოს ინტერესებთან და მნიშვნელოვან სისტემურ გადაწყვეტილებებს იღებენ სწორედ ვიწროპარტიული ინტერესებიდან გამოდინარე. რამდენიმე რესპონდენტმა განაცხადა, რომ აღნიშნულ გარემოებას მნიშვნელოვნად განაპირობებს პოლიტიკურ პარტიებში შიდა პარტიული დემოკრატიის დაბალი ხარისხი, რაც მათი აზრით სახეზეა როგორც ნაციონალური მოძრაობის ასევე ქართული ოცნების შემთხვევაში.

„ქართულ ოცნებაში შიდაპარტიულ დემოკრატიაზე საუბარი შეუძლებელია.“
(სოციოლოგი,II)

„შიდაპარტიული დემოკრატია, ეს ტერმინი ქართულ ოცნებასთან საერთოდ შეუსაბამოა.
(პოლიტიკოსი, I)

,,პარტიაში თუ არ ხდება განახლება, შიდა პოლიტიკური დემოკრატია, საქართველოში ასეთი რამ არ მომხდარა არასოდეს. ეს ერთიდაიგივე ხალხია წლების მანძილზე პოლიტიკურ სცენაზე“(პოლიტიკის ექსპერტი, IV)

„შიდაპარტიული დემოკრატიის ძალიან მწირი ტრადიცია არსებობდა ნაციონალურ მოძრაობაში, ისევე როგორც მთლიანად ქართულ პოლიტიკურ სპექტრში.“(პოლიტიკოსი, I)

კვლევის პროცესში ჩართულმა ექსპერტების უმეტესობამ საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების ზოგადი დახასიათების დროს განაცხადა, რომ დღევანდელ პოლიტიკურ ველზე არსებულ პოლიტიკურ პარტიებს არ აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკური იდეოლოგია.

„ შიდაპარტიული დემოკრატია სერიოზული გამოწვევაა და ყოველთვის იყო, იმიტომ რომ შიდა პარტიული დემოკრატია რომ არსებობდეს, ამისთვის უნდა არსებობდეს პირველ რიგში პარტიული იდეოლოგია და ჩვენთან პარტიები ძირითადად არის მიბმული ერთ ადამიანზე ან ერთ ქარიზმატულ ლიდერზე.“ (პოლიტიკოსი, II)

რესპონდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ არც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და არც ქართული ოცნება საარჩევნო სისტემის რეფორმირების დროს არ ითვალისწინებდა რაიმე კონკრეტულ იდეოლოგიურ განზომილებას.

ერთ-ერთი რესპონდენტი ქართული ოცნების კონკრეტულ გადაწყვეტილებას საარჩევნო სისტემასთან მიმართებაში შემდეგნაირად აფასებს.

„ქართული ოცნება კი არ დაპირდა ხალხს, არამედ მისი მოთხოვნა იყო საარჩევნო სისტემის შეცვლა 2012 წელს ოპოზიციაში ყოფნის დროს. მერე როცა ვითარების შეფასება მოხდა წაგებისკენ მიდიოდა ყველაფერი და ამიტომ წავიდა ამ ექსტრაორდინალურ ნაბიჯზე ივანიშვილი (მაჟორიტარების აჯანყებაზე)“ (პოლიტიკოსი, I)

„მაჟორიტარების ბუნტი სრულიად ხელოვნური იყო და მაჟორიტარები ფარად აიფარა ხელისუფლებამ იმიტომ რომ ვალდებულება ჰქონდათ აღებული ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან.“ (პოლიტიკის ექსპერტი, III)

4.4. „პერსონალური სარგებლის/personal gain“ მოდელი.

კვლევის ჩატარების პროცესში რესპონდენტების უმეტესობამ აღნიშნა, რომ ორივე მმართველი პარტიის შემთხვევაში სახეზეა კონკრეტული პოლოტიკური ლიდერების გადამწყვეტი გავლენა, რომელიც პირდაპირ განაპირობებდა პარტიის მიერ მიღებულ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს, მათ შორის საარჩევნო სისტემასთან მიმართებაში.

„რათქმაუნდა სააკაშვილის პერსონალურ პოზიციას ძალიან დიდი წონა ჰქონდა, მაგრამ მას უწევდა ანგარიშის გაწევა ყველა იმ ვითარებისთვის, რაც იყო გუნდის შიგნით, რაღაცაში მეტი დოზით, რაღაცაში ნაკლებით. თუ ვინმე იტყვის რომ მისი სიტყვა გადამწყვეტი იყო ამ დისკუსიის დროს, ხო კი, ასე იყო." (პოლიტიკოსი,I)

„მათ შორის საპარლამენტო სისტემაზე გადასვლაც იყო ნაკარნახევი იმით, რომ ეწურებოდა მეორე ვადა პრეზიდენტობის და უნდა შექმნილიყო ისეთი სისტემა, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა შეფერხება არ ჰქონოდა თუ დარჩებოდა ხელისუფლებაში და რეალურად ამან ძალიან ცუდი როლი ითამაშა მაშინ, იმიტომ რომ საპარლამენტო მართვაზე გადასვლა, რომელიც თავისთავად შეგვეძლო ჩაგვეთვალა რომ დემოკრატიული პროგრესი იყო, საბოლოო ჯამში ძალიან ცუდად იყო აღქმული, განსაკუთრებით ჩვენი დასავლელი პარტნიორების მხრიდან, რომლებმაც პირდაპირ ჩათვალეს სააკაშვილის მხრიდან მცდელობად, შეექმნა საკონსტიტუციო მოდელი, რომელიც უზრუნველყოფდა მისთვის ხელისუფლებაში შეუზღუდავად დარჩენის შესაძლებლობას." (პოლიტიკოსი, II)

„იმისთვის რომ მას შესძლებოდა ძალაუფლების შენარჩუნება, მას სჭირდებოდა საკონსტიტუციო ცვლილება, რომ შემდეგ ჯერზე კონსტიტუციური ტრანსფორმაციის შედეგად უნდოდა უკვე პრემიერის პოსტზე მოვლენოდა ქვეყანას." (პოლიტიკის ექსპერტი,I)

„საარჩევნო სისტემასთან მიმართებაში კონკრეტული გადაწყვეტილებები აიხსნება სწორედ ძალაუფლების შენარჩუნების ინსტიქტით, პერსონალურად ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ინტერესებით" (პოლიტიკოსი,I)

კვლევის ჩატარების პროცესში რესპონდენტების უმრავლესობა დაეთანხმა იმ მოსაზრებას, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში, საარჩევნო სისტემასთან მიმართებაში მიღებული გადაწყვეტილებები ხშირ შემთხვევაში იყო განპირობებული კონკრეტული პირების პერსონალური სარგებლით.

„საპრეზიდენტო სისტემიდან საპარლამენტო სისტემაზე გადასვლის გადაწყვეტილება იყო მიხეილ სააკაშვილის პერსონაზე მორგებული ცვლილება.“ (პოლიტიკის ექსპერტი,I)

,,ნაციონალურ მოძრაობაში, საარჩევნო სისტემასთან მიმართებაში და არა მარტო, გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა პარტიის და კონკრეტული პირების პერსონალური ინტერესის და მოტივების საფუძველზე“. (პოლიტიკოსი, II)

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საარჩევნო სისტემის რეფორმირების დროს, კონკრეტული პოლიტიკური ფიგურების გავლენა და ინტერესი წარმოადგენს ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

4.5. საერთაშორისო აქტორების გავლენა და „გარე გავლენის/external influence“ მოდელი

საერთაშორისო აქტორებთან მიმართებაში რამდენიმე რესპონდენტმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები ისევე როგორც ევროკავშირი სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით ცდილობს დააბალანსოს რუსეთის ფედერაციის გავლენა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე და ამ ქვეყნებში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობას შეუწყოს ხელი. მათივე შეფასებით, როგორც ვაშინგტონი, ასევე ბრიუსელი რეგიონში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების შეფასების დროს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებთან ერთად გადამწყვეტ ყურადღებას ანიჭებს ჩატარებული არჩევნების ხარისხს.

საქართველოში მიმდინარე არჩევნების შეფასების და მონიტორინგის კუთხით გამოირჩევა უეთო/ოდირის OSCE/ODIHR (Office for Democratic Institutions and Human Rights) ოფისის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიები. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზემოთ ხსენებული სადამკვირვებლო მისიები ლეგიტიმური კრიტიკის ქვეშ მოხვდნენ როგორც ოპოზიციური პარტიების, ასევე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების

მხრიდან. კრიტიკის ძირითადი საკითხი არის ის, რომ სადამკვირვებლო მისიები ძირითად ყურადღებას ანიჭებენ ორგანიზაციულ და პროცედურულ ასპექტებს და ნაკლებ ყურადღებას უთმობენ წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების და ამომრჩევლებზე ზეწოლის ფაქტებს, რამაც ხშირ შემთხვევაში შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ არჩევნების შედეგებზე.

საყურადღებოა ის, რომ როგორც ვაშინგტონი ასევე ბრიუსელი და საქართველოს სხვა დასავლელი პარტნიორები უმეტეს შემთხვევაში იზიარებენ ეუთო/ოდირის მიერ გამოქვეყნებულ შუალედურ თუ საბოლოო დასკვნებს, რაც ოპოზიციური პარტიების სხვადასხვა სახის პროტესტს ფაქტიურად აზრს უკარგავს და დამატებით ლეგიტიმაციას აძლევს მმართველ პარტიას როგორც საერთაშორისო ასევე ადგილობრივი საზოგადოების თვალში.

კვლევის პროცესში რესპონდენტების უმეტესობამ სხვადასხვა ფორმით განაცხადა, რომ საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების დასკვნები და დასავლეთის მიერ არჩევნების პროცესის შეფასება საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს და არანაკლებ მნიშვნელოვანად რჩება ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტებმა განსხვავებულად შეაფასეს საერთაშორისო აქტორების გავლენის რეალური სიძლიერე მიმდინარე პროცესებზე. რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ მათ ჩართულობას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

„გარე აქტორები ყოველთვის აქტიურად იყვნენ ჩართულები ყველა დროში და ყველა ეტაპზე, მაგრამ ყოველთვის საბოლოო ჯამში ფასადური ცვლილებების იქეთ საქმე არ წასულა.“

(პოლიტიკის ექსპერტი, III)

„გარე აქტორების გავლენა ყოველთვის მაინც პოზიტიური ფაქტორია, მაშინაც კი როცა მე შიძლება უკმაყოფილო ვიყო უკმარისობის თვალსაზრისით.“(პოლიტიკოსი,I)

„გარე აქტორებს ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ, განსაკუთრებით ნაციონალური მოძრაობა და პირველ ხანებში ქართული ოცნებაც.“(ყოფილი პოლიტიკოსი, საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის წევრი, II)

რესპონდენტების ნაწილის შეფასებით, საერთაშორისო პარტნიორების და ორგანიზაციების არჩევნების შეფასება უმეტეს შემთხვევაში ეხება ზოგად ადმინისტრაციულ და პროცედურულ კომპონენტებს და ზოგადად საარჩევნო სისტემის მოწყობასთან მიმართებაში დასავლეთი ხისტ რეკომენდაციებს ვერ გასცემს, რადგან არ არსებობს შეთანხმებული სტანდარტები.

„რაც შეეხება თავად საარჩევნო სისტემას ამის ასე ცალსახად აღიარებული საერთაშორისო სტანდარტები არ არსებობს და ჩვენი დასავლელი პარტნიორების ზუსტ მითითებს ვერ მოგცემენ, საბოლოო გადაწყვეტილება დამოკიდებულია ქართულ პოლიტიკურ ძალებზე“ (პოლიტიკოსი, IV)

რესპონდენტების ნაწილმა განაცხა, რომ დასავლეთმა მნიშვნელოვნად შეცვალა სტრატეგია 2012-2013 წლების საარჩევნო ციკლის დროს. დასავლეთმა ნათლად აჩვენა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებას, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ელოდებოდა ბევრად მაღალი სტანდარტების დაცვას. სწორედ დასავლეთის მხრიდან გაჟღერებულმა ასეთი ტიპის განცხადებებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია იმაზე, რომ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ აღიარა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხება და უზრუნველყო ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება.

„დასავლელმა პარტნიორებმა ხაზგასმით მიუთითეს სააკაშვილს და ნუ ისიც მოდით ესე ვთქვათ იძულებული იყო არ წასულიყო ისეთ ქმედებებზე რასაც შეეძლო უკვე უმართავი პროცესი გამოეწვია ქვეყანაში.“(პოლიტიკის ექსპერტი,I)

„მაშინდელ ხელისუფლებას არ სურდა ძალაუფლების დათმობა, მაგრამ უფრო მეტად უსმენდა დასავლელ პარტნიორებს და ხვდებოდა იმას რომ ხელისუფლება რომ არ

გადაეგარებინა არჩევნების გზით, ამას შეიძლებოდა ძალიან ცუდი გავლენა ჰქონოდა ქვეყნის განვითარებაზე.“ (არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი)

აგრეთვე, რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო პარტნიორების ძალისხმევამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ქართული ოცნების გადაწყვეტილებაზე 2024 წლიდან სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

„კიდევ ერთი ფაქტორი არის, გარე აქტორების რეკომენდაციები. ეს არის ის ფაქტორები, რომელიც მოქმედებს, იმოქმედა ქართულ ოცნებაზე, რომ 2024 წლის არჩევნები ჩაატაროს სრულად პროპორციული სისტემით.“ (პოლიტიკის ექსპერტი, IV)

ასევე, დაფიქსირდა შეფასება, რომ ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში მნიშვნელოვნად გაძლიერდა დასავლური პარტნიორების პოზიტიური გავლენა, მათ შორის საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებულ პროცესებთან მიმართებაში.

„მე არ მახსოვს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს, მათ შორის საარჩევნო სისტემებთან დაკავშირებით, პოზიტიური ჩარევის თუნდაც მიახლოებული ხარისხი როგორიც არის ახლა”. (ყოფილი პოლიტიკოსი, საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის წევრი, II)

რესპონდენტთა ნაწილის აზრით, დასავლელი პარტნიორები უფრო აქტიურად ცდილობენ ჩაერიონ მიმდინარე პროცესებში, რადგან „ქართული ოცნების“ მმართველობის დროს „დასავლეთის“ გავლენები შემცირდა.

„ის რომ დასავლეთი უფრო მეტად გახდა იძულებული ბოლო წლებში აქტიურად ჩარეულიყო, იყო არა ძალის, არამედ უძალობის გამოხატულება დასავლეთის მხრიდან.“ (ყოფილი პოლიტიკოსი, საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის წევრი, II)

,,ბოლო პერიოდში ოცნების მხრიდან სრული იგნორირება ხდება და გარე აქტორები რას იტყვიან ფაქტიურად არ აინტერესებთ“. (არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი)

რესპონდენტის შეფასებით, დასავლელი პარტნიორების კრიტიკა და ზეწოლა ნაციონალური მოძრაობის გადაწყვეტილებებზე უფრო მეტ გავლენას ახდენდა, ვიდრე დღევანდელ მმართველ პარტიაზე. რესპონდენტები ასევე აცხადებენ, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობისგან განსხვავებით, დღევანდელ ვითარებაში „კოლექტიურ დასავლეთს“ არ გააჩნია შეთანხმებული გეგმა საქართველოსთან მიმართებაში.

„დასავლეთის აზრი ნაციონალური. მოძრაობისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ეს არის ქართული ოცნების ხელისუფლებისთვის. მე მგონია რომ დღეს პრობლემა ის არის რომ დასავლეთს არ აქვს ჩამოყალიბებული პოლიტიკა ჩვენს ქვეყანასთან და ჩვენს რეგიონთან მიმართებაში. ანუ დიდი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად დასავლეთი დღეს მზად არ არის.“ (ყოფილი პოლიტიკოსი, საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი, I)

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საერთაშორისო აქტორების გავლენა ცალსახად პოზიტიურ როლს თამაშობს საქართველოს საარჩევნო სისტემის რეფორმირების პროცესში. რესპონდენტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ საეთაშორისო აქტორები არსებული პროცედურული სტანდარტების მიხედვით აფასებენ საარჩევნო პროცესს, მაგრამ უშუალოდ სისტემის ცვლილების პროცესზე მათ რეკომენდაციებს გავლენა არ აქვს. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვანი სისტემური რეფორმების გატარებისთვის საერთაშორისო აქტორების რეკომენდაციებთან ერთად, საჭიროა პოლიტიკური სპექტრის მნიშვნელოვანი ნაწილი შეთანხმება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის გავლენას მმართველი პარტიის გადაწყვეტილებებზე.

4.6. პოლიტიკური ელიტის გავლენა და რეგიონალური ელიტების როლი

რესპონდენტების ნაწილმა დააფიქსირა მოსაზრება, რომ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები რეალურად ასახავს პოლიტიკური ელიტების დაპირისპირების სურათს. მათი შეფასებით, ორი ძირითადი პოლიტიკური მოთამაშე აკონტროლებს მთლიან პოლიტიკურ ველს და სხვა ალტერნატივას არ უტოვებს მოსახლეობას.

„ჩვენს საარჩევნო სისტემაში მონაწილეობენ აბსოლუტურად სხვადასხვა რესურსების მქონე პოლიტიკური ჯგუფები, ეს პოლიტიკური ჯგუფები არიან გამყარებული. ეს არის ერთი მმართველი კლასი, რომლის შიგნითაც მოსახლეობის დიდი ნაწილი პრაქტიკულად არჩევნებს არის ჩამოშორებული.“ (პოლიტიკოსი,III)

„მანიპულირებულ არჩევნებთან გვაქვს ჩვენ საქმე. ერთის მხრივ ეს არის ადმინისტრაციული რესურსი, მეორე მხრივ არის მედია რესურსი და ეს ორივე ერთად ერთდება ფინანსურ რესურსებში.“ (პოლიტიკოსი,III)

„საქართველოში საარჩევნო სისტემა ყოველთვის იყო მორგებული იმ დროის მმართველი ელიტის ინტერესებს.“ (პოლიტიკის ექსპერტი, III)

აგრეთვე, რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ელიტების შეუზღუდავი გავლენის შედეგად პარტიის და სახელმწიფოს ინტერესებს შორს ზღვარი ფაქტიურად არ შეიმჩნევა და ძირითად სახელმწიფო ინსტიტუტების და პოლიტიკური პარტიების საქმიანობა ემსახურება კონკრეტული პოლიტიკური ელიტის ინტერესებს.

„პოლიტიკური ელიტის ინტერესების სასარგებლოდ ხდება პარტიის და სახელმწიფოს შერწყმა ერთმანეთთან და ეს თავისთავად იწვევს პოლარიზაციას ხო. ამას აკეთებდა ყველა ხელისუფლება ქვეყანაში, სხვანაირი ხელისუფლება არ გვყოლია ჯერ, სამწუხაროდ“.
(ყოფილი პოლიტიკოსი, საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი, I)

რეგიონალური ელიტების როლზე სხვადასხვა ფორმით ისაუბრეს კვლევაში ჩართულმა ექსპერტებმა. რესპონდენტების შეფასებით, როგორც ნაციონალური მოძრაობა ასევე ქართული ოცნებაც წარმატებულად თანამშრომლობდნენ რეგიონალურ ელიტებთან (განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში) და ამ თანამშრომლობის სანაცვლოდ ისინი რეგიონალური ელიტების ლიდერებს სთავაზობდნენ მაჟორიტარულ მანდატებს. რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლამ შესაძლოა მმართველი პარტიის და რეგიონალურ ელიტებს შორის თანამშრომლობის ფორმატი შეცვალოს და არსებობს იმის ალბათობა, რომ პროპორციული სისტემის ფარგლებში რეგიონალური ელიტები როგორც დამოუკიდებელი აქტორები ჩაერთვებიან პოლიტიკურ პროცესებში.

„იქ ადგილებზე პოზიციები გაიმყარეს ადგილობრივმა ფეოდალებმა, რეგიონალური ფინანსური ცენტრების წარმომადგენლებმა და მათთვის ამოსავალი არა მისი ამომრჩევლის ინტერესი, არამედ საკუთარი ხმით, ხელისუფლებასთან ვაჭრობა გახდა.“ (პოლიტიკის ექსპერტი,III)

„საქართველოს შემთხვევაში მაჟორიტარი დეპუტატები არინ ჩვეულებრივი ბიზნესმენები რომლებსაც მანდატი სჭირდებათ როგორც ,,კრიშა". (ყოფილი პოლიტიკოსი, საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი, I)

„ქართული ოცნებისთვის ისევე როგორც თავის დროზე ნაციონალური მოძრაობისთვის მაჟორიტარები უზრუნველყოფენ ხელისუფლების ძალაუფლების მდგრადობას.“ (პოლიტიკის ექსპერტი, I)

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიგნებაა, რეგიონალური ელიტის მნიშვნელოვანი რილი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. მათ შორის საარჩევნო სისტემასთან მიმართებაში. ელიტების როლის მნიშვნელობას ხაზგასმით ადასტურებს რესპონდენტების უმეტესობა, ისევე როგორც ნაშრომზე მუშაობის დროს განხილული თეორიული მოდელები.

4.7. საბჭოთა გამოცდილების გავლენა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე (საარჩევნო სისტემის მაგალითზე)

როგორც რესპონდენტთა ნაწილმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკამ ტოტალიტარული რეჟიმიდან ტრანსფორმაცია შედარებით თანაბარი პირობებიდან დაიწყო, დღეს პოსტ-საბჭოთა ქვეყნები დემოკრატიული განვითარების განსხვავებული დონით და ხარისხით გამოირჩევიან.

,,ყველა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს აერთიანებს რეგულარული არჩევნების პრაქტიკა, მაგრამ მათ შორის არის დიდი განსხვავება.“(პოლიტიკოსი, III)

რესპონდენტთა ნაწილის შეფასებით, პოსტ-საბჭოთა ქვეყნების გარკვეული ნაწილი დემოკრატიის ფორმალურ მოდელს წარმოადგენს და ქვეყანაში მოქმედი ინსტიტუტები და პოლიტიკური გარემო ხელისუფლების ცვლილების პროცესს ხელს არ უწყობს.

„პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ნაწილს ახასიათებს ფორმალური დემოკრატიის ნიშნები, სადაც არსებობს არჩევნები, არსებობენ ოპოზიციური სუბიექტები, მონაწილეობენ არჩევნებში, მაგრამ მშვიდობიანი პოლიტიკური მექანიზმების გამოყენებით, არჩევნების მეშვეობით ძალაუფლების ცვლილების შესაძლებლობა არის არათუ მინიმალური არამედ ნულის ტოლი.“(ყოფილი პოლიტიკოსი, საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის წევრი, II)

რესპონდენტების ნაწილმა დააფიქსირა მოსაზრება, რომ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში დღემდე ურყოფით როლს თამაშოს საბჭოთა მემკვიდრეობა. აღნიშნული გამოიხატება სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარების დაბალი დონით. აგრეთვე იმით, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის დღემდე უცხოა დემოკრატიული პროცესებისთვის დამახასიათებელი ელექტორალური აქტივობა.

„ამომრჩეველთა ძალიან დიდი ნაწილი არის ის ხალხი, რომელიც საბჭოთა კავშირში დაიბადა, ერთპარტიულ სისტემაში ცხოვრობდა, რომელსაც თავისუფლებაში არ უცხოვრია და მისთვის აი ეს პროცესი, რაზეც ახლა ჩვენ ვსაუბრობთ არაბუნებრივია“. (პოლიტიკის ექსპერტი, IV)

კვლევის შედეგად მნიშვნელოვნად გამოიკვეთა პოსტ-საბჭოთა მემკვიდრეობის უარყოფითი გავლენა ქვეყანაში მიმდინარე სოციო-პოლიტიკურ პროცესებზე, მათ შორის საზოგადოების მიერ არჩევნების და სხვა დემოკრატიული პროცესების აღქმის დეფორმაციაზე. ის ფაქტი, რომ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს საერთოდ არ აინტერესებს საარჩევნო სისტემის ირგვლივ არსებული გამოწვევები, შესაძლებლობას აძლევს მმართველ პარტიებს კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების დროს უფრო მეტად გაითვალისწინონ საკუთარი ვიწრო პოლიტიკური ინტერესები.

5. რეკომენდაციები

ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია, რაც პოლიტიკის ექსპერტების გამოკითხვის შედეგად წამოიჭრა, იმისათვის რომ საქართველოში მოქმედმა საარჩევნო სისტემამ უზრუნველყოს ამომრჩეველთა ნების პროპორციულად ასახვა საკანონმდებლო ორგანოში, საჭიროა ქვეყნის კონტექსტის, მოწყობის და გამოწვევების გათვალისწინება.

მეორე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომელიც რესპონდენტთა უმრავლესობის მხრიდან გაჟღერდა არის სამართლიანი და კონკურენტუნარიანი არჩევნები, სადაც გათვალისწინებული იქნება კანონით გაწერილი ყველა რეგულაცია. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა, რეგულარული არჩევნების ჩატარების დროს გამჭვირვალეობის და პროცედურით გათვალისწინებული წესების მაქსიმალური დაცვა.

მესამე რეკომენდაციის მიხედვით, მნიშვნელოვანია დასრულდეს ერთპარტიული მმართველობის პრაქტიკა და ხელისუფლების ფორმირება მოხდეს კოალიციური თანამშრომლობის შედეგად.

ასევე ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია, რაც რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, არის არსებული შერეული საარჩევნო სისტემის მაჟორიტარული კომპონენტის გაუქმება. შესაბამისად, მეოთხე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია არის სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა.

რესპონდენტთა უმრავლესობის რეკომენდაციით, პროპორციულ საარჩევნო სისტემაში მნიშვნელოვანია საარჩევნო ბარიერის ზღვარის დადგენა, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლობითი პრინციპის მაქსიმალურ დაცვას. შესაბამისად, მეხუთე რეკომენდაცია არის სამართლიანი საარჩევნო ბარიერის შემოღება.

ასევე, ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია, რაც რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა არის მმართველი პოლიტიკური პარტიების მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების

მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრის აუცილებლობა. შესაბამისად, მეექვსე და ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რეკომენდაცია არის, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შეზღუდვა.

რესპონდენტთა უმრავლესობის რეკომენდაციის მიხედვით, მნიშნელოვანია საარჩევნო სისტემის რეფორმირება მოხდეს პოლიტიკური პარტიების კონსესუსის შედეგად. შესაბამისად, მეშვიდე რეკომენდაცია არის, საარჩევნო სისტემის რეფორმირების საკითხი უნდა გადაწყდეს ზეპარტიული შეთანხმების შედეგად.

რესპონდენტთა უმრავლესობის რეკომენდაციის მიხედვით, მნიშვნელოვანია პოლიტიკურ პარტიებში შიდა პარტიული დემოკრატიის არსებობა და განვითარება. შესაბამისად, მერვე რეკომენდაცია არის, პოლიტიკურ პარტიებში დაინერგოს და გაუმჯობესდეს შიდაპარტიული დემოკრატიის ხარისხი.

6. დისკუსია

თანამედროვე სახელმწიფოს გამართულად ფუნქციონირებისთვის და დემოკრატიული პროცესების უზრუნველსაყოფად, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბება აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის. მეტიც, პროცედურულად და ინსტიტუციურად გამართული საარჩევნო სისტემა შესაძლოა ფუნქციონირებდეს არა-დემოკრატიულ სახელმწიფოში. სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო სისტემა არის დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშნელოვანი საყრდენი, მაგრამ დემოკრატიისთვის დამახასიათებელი სხვა კომპონენტების არარსებობის შემთხვევაში, ეფექტიანი საარჩევნო სისტემის დადებითი გავლენა ვერ იქნება გადამწყვეტი.

საქართველოს მაგალითზე საარჩევნო სისტემის რეფორმირების კვლევამ გვაჩვენა, რომ აღნიშნულ პროცესში ბევრი სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას საბოლოო შედეგზე. კვლევის პროცესში ცალსახად გამოიკვეთა ვიწრო-პარტიული ინტერესების უპირატესობა, თუნდაც ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებით, როგორიცა

ა საარჩევნო სისტემა. ვიწრო-პარტიული გადმოსახედიდან მიღებული გადაწყვეტილებები, საბოლოო ჯამში, აზიანებს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესს. კვლევის პროცესში გამოიკვეთა როგორც მმართველი, ასევე ოპოზიციური აქტორების მხრიდან სახელმწიფოებრივი და სისტემური მიდგომის არასაკმარისი ხარისხი. აგრეთვე, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს პარტიულ და სახელმწიფო ინტერესებს შორის ფაქტიურად არარსებული ზღვარი. რაციონალური გადაწყვეტილებები პარტიული გადმოსახედიდან გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელია მნიშვნელოვნად დამაზიანებელი აღმოჩნდეს სახელმწიფოს განვითარების პროცესისთვის.

რესპონდენტების შეფასებით, საქართველოში არსებული პარტიული სისტემა განვითარების საკმაოდ დაბალ დონეზეა. როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური პარტიები გადაწყვეტილებებს არ იღებენ კონკრეტული პოლიტიკური ხედვის ან იდეოლოგიური

პარადიგმის საფუძველზე. აგრეთვე, საკამოდ სუსტია ელექტორატსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის უკუკავშირის ხარისხი. რესპონდენტების მოსაზრებით, საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების უმეტესობა იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რაც მაქსიმალურ შედეგს მოიტანს უმოკლეს ვადებში და ნაკლებ ყურადღებას ანიჭებს გრძელვადიან სტრატეგიებს. დიდწილად ასეთი სისტემის არსებობას განაპირობებს შიდაპარტიული დემოკრატიის დაბალი ხარისხი და ის, რომ პარტიების უმეტესობა ერთი პოლიტიკური ლიდერის ირგვლივ არის გაერთიანებული. კვლევის პროცესში რესპონდენტებმა ცალსახად უარყოფითად შეაფასეს კონკრეტული პოლიტიკური ლიდერების როლი ქვეყანაში მიმდინარე და წარსულში განვითარებულ პროცესებზე, მათ შორის საარჩევნო სისტემის რეფორმის საკითხთან მიმართებაში.

რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია სამართლიანი და დამოუკიდებელი საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბება, ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ფართო პოლიტიკური და საზოგადოებრივი შეთანხება. ასეთი შეთანხმების შედეგად მიღწეული სისტემა საქართველოს მოქალაქეებს მისცემს შესაძლებლობას საკუთარი პოლიტიკური ნების შესაბამისად მაქსიმალური წარმომადგენლობითობის დაცვით აირჩიონ საკუთარი წარმომადგენლები. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები მნიშვნელოვნად გააჯანსაღებს ქვეყანაში არსებულ პარტიულ სისტემას და მეტად დააკავშირებს პოლიტიკურ პარტიებს საკუთარ ელექტორატთან. შედეგად, გაიზრდება ჯანსაღი პოლიტიკური კონკურენცია და მოიმატებს თითოეული ამომრჩევლის როლი არჩევნებში, რაც საბოლოო ჯამში გაზრდის ინდივიდუალური პოლიტიკური აქტივობის გავლენას ქვეყანაში მიმდინარე სოცი-პოლიტიკურ პროცესებზე.

რესპონდენტების შეფასებით, საარჩევნო სისტემის გარდა საქართველოში სხვა ბევრი მიმართულებით არსებობს გამოწვევები. მათ შორის, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამრთლო, ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენება და სახელისუფლებო შტოების შორის ბალანსის არასაკმარისი ხარისხი. აღნიშნულ გამოწვევებთან გამკლავება

შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკურ აქტორებს შორის მოხდება ზეპარტიული შეთანხება და ასეთი შეთანხმების პირველი მაგალითი შესაძლოა გახდეს სწორედ სამართლიანი და თავისუფალი საარჩევნო სისტემა.

7. გამოყენებული ლიტერატურა

1. Andrew Reynolds, Ben Reilly & Andrew Ellis. (2005). Electoral System Design: The New International IDEA Handbook. ISBN: 91-85391-18-2.
2. Ahmed A. (2012) Democracy and the Politics of Electoral System Choice: Engineering Electoral Dominance. University of Massachusetts, Amherst.
3. Agenda.ge (2019) (Ruling party proposed election bill scrapped. ნანახია 30 ოქტომბერს, 2021 წელს: https://agenda.ge/en/news/2019/3073
4. Agenda.ge (2019) PM Gakharia: Georgia will have a proportional electoral system starting 2024. ნანახია 30 ოქტომბერს, 2021 წელს: https://agenda.ge/en/news/2019/3101
5. Benoit K. (2004) Models of electoral system change. Trinity College, University of Dublin.
6. Bielasiak, J. & Hulsey W (2013) Party system determinants of electoral reform in post-communist states. doi.org/10.1016/j.postcomstud.2012.12.001
7. Bohlen C. (2019). Elections in Post-Soviet Regimes. The New-York Times.
8. Berelson, B. R., Lazarsfeld, P. F., & McPhee, W. N. (1954). Voting: A study of opinion formation in a presidential campaign. University of Chicago Press
9. Duveger M. (1951). The Number of Parties. Les Partis Poli tiques.
10. Dobratz, Waldner & Buzzell (2019) Power, Politics, and Society An Introduction to Political Sociology. Routledge.
11. Edgar & Bauldry. (2005). “The Contribution of Rational Choice Theory to Political. Sociology.” Pp. 172-186 in Handbook of Political Sociology.
12. Gel'man V. (2010) Post-Soviet Transitions and Democratization: Towards Theory-Building. doi.org/10.1080/714000120
13. Gunther and Diamond (2003) Species of political parties a new typology. Sage Publications.

14. Habermas J. (1973). Legitimation crisis. Beacon Press.

15. Harfst P. (2013). Changing the rules of the game: Determinants of successful electoral system change in Central and Eastern Europe. doi.org/10.1177/0192512112457195

16. Holton R. (2008) Rational choice theory in sociology. https://doi.org/10.1080/08913819508443401

17. Josep M. Colomer (2005) It's Parties that Choose Electoral Systems (Or, Duverger's Laws Upside Down) doi.org/10.1111/j.1467-9248.2005.00514.x

18. Josep M. Colomer. (2018). Party System Effects on Electoral Systems. DOI: 10.1093/oxfordhb/9780190258658.013.16.

19. Lijphart A. (1994). Electoral Systems and Party Systems: A Study of Twenty-seven Democracies. Oxford University Press.

20. Lipset S. & Rokkan S. (1967) Cleavage Structures, Party Systems and Voter Alignments. New York: Free Press.

21. Norris. P. (1997) Choosing Electoral Systems: Proportional, Majoritarian and Mixed Systems. International Political Science Review.

22. National Democratic Institute. Handbook on political Parties. https://www.ndi.org/what-we-do/political-parties

23. Omelicheva M. (2015) Democracy in Central Asia. Democracy in Central Asia Competing Perspectives and Alternative Strategies. The University Press of Kentucky

24. Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE).(2004). Parliamentary elections 2 November 2003 OSCE/ODIHR Election Observation Mission Report. ნანახია 30 ოქტომბერს, 2021 წელს: https://www.osce.org/files/f/documents/2/0/22205.pdf

25. Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE).(2004). Extraordinary Presidential election 4 January 2004 OSCE/ODIHR Election observation mission report. ნანახია 30 ოქტომბერს, 2021 წელს: https://www.osce.org/files/f/documents/a/e/24600.pdf

26. Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE).(2004). Partial repeat Parliamentary Elections 28 march 2004 OSCE/ODIHR election observation mission report. ნანახია 30 ოქტომბერს, 2021 წელს: https://www.osce.org/files/f/documents/7/5/34196.pdf

27. Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE).(2008). Extraordinary Presidential election 5 January 2008 OSCE/ODIHR Election Observation Mission Final Report. ნანახია 30 ოქტომბერს, 2021 წელს: https://www.osce.org/files/f/documents/7/b/30959.pdf

28. Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE).(2008). Parliamentary Elections 21 May 2008 OSCE/ODIHR Election Observation Mission Final Report. ნანახია 30 ოქტომბერს, 2021 წელს: https://www.osce.org/files/f/documents/f/4/33300.pdf

29. Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE).(2012). Parliamentary Elections 1 October 2012 OSCE/ODIHR Election Observation Mission Final Report. ნანახია 30 ოქტომბერს, 2021 წელს: https://www.osce.org/files/f/documents/8/1/98399.pdf

30. Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE).(2016). Parliamentary Elections 8 and 30 October 2016 OSCE/ODIHR Election Observation Mission Final Report. ნანახია 30 ოქტომბერს, 2021 წელს: https://www.osce.org/files/f/documents/e/e/297551.pdf

31. Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE).(2018). Presidential Election 28 October and 28 November 2018 ODIHR Election Observation Mission Final Report. ნანახია 30 ოქტომბერს, 2021 წელს: https://www.osce.org/files/f/documents/9/4/412724_2.pdf

32. Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE).(2018). Parliamentary Elections 31 October 2020 ODIHR Limited Election Observation Mission Final Report. ნანახია 30 ოქტომბერს, 2021 წელს: https://www.osce.org/files/f/documents/1/4/480500.pdf

33. Pareto V. (1935). The Mind and Society. Harcourt, Brace and Company

34. Reuter, Buckley, Shubenkova & Garifullina (2016) Local Elections in Authoritarian Regimes: An Elite-Based Theory with Evidence from Russian Mayoral Elections. Comparative Political Studies

35. Strom K. (2012) A Behavioral Theory of Competitive Political Parties. American Journal of Political Science, Vol. 34.

36. Taagepera R. & Shugart M (1989) Seats and votes: The effects and determinants of electoral systems. New Haven: Yale University Press

37. Verba, Scholzman & Brady. (1995). Beyond Ses: A Resource Model of Political Participation. The American Political Science Review.

38. Weber M. (1964) The Theoory of Social and Economic Organization. The Free Press

39. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. (2016) 1990 წლიდან 2016 წლამდე პოლიტიკური ძალების წარმომადგენლობა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში. ნანახია 30 ოქტომბერს, 2021 წელს: https://transparency.ge/ge/reports

40. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. (2008) ახალი ძველი მაჟორიტარული სისტემა. ნანახია 30 ოქტომბერს, 2021 წელს: https://transparency.ge/ge/post/report/akhali-dzveli-majhoritaruli-sistema%20

41. რადიო თავისუფლება. (2019) უშედეგო დისკუსია დასავლეთის მკაცრი სიგნალების ფონზე. ნანახია 30 ოქტომბერს, 2021 წელს: https://www.radiotavisupleba.ge/a/315441135.html

42. რადიო თავისუფლება. (2021) კობახიძის თქმით, არ არსებობს ვალდებულება, რომ პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილება მიიღოს. ნანახია 30 ოქტომბერს, 2021 წელს: https://www.radiotavisupleba.ge/a/31541135.html

43. რადიო თავისუფლება. (2021) კობახიძე საარჩევნო ბარიერის დაწევაზე: ამ ეტაპზე ამის აუცილებლობა არ არსებობს. ნანახია 30 ოქტომბერს, 2021 წელს: https://www.radiotavisupleba.ge/a/31586989.html

44. რუსთავი 2. (2020) 117 ხმით 3-ის წინააღმდეგ - საკონსტიტუციო ცვლილებები მიღებულია. ნანახია 30 ოქტომბერს, 2021 წელს: https://rustavi2.ge/ka/news/168819

8. დანართი

8.1. თავფურცელი ინგლისურად

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nana Bigvava

Factors influencing ruling party decisions in the process of electoral system formation

(United National Movemant and Georgian Dream Case's)

Master's thesis is written with the purpouse of obtaining Master's Degree inSociology

Supervisor: Prof. Iago Kachkachishvili

Tbilisi

2021

8.2. ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი

ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი - პოლიტიკის ექსპერტები, კონსტიტუციონალისტები, პოლიტიკოსები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები

I. შესავალი

მოგესალმებით, მე გახლავართ ნანა ბიგვავა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი. პირველ რიგში მადლობას გიხდით, რომ დამთანხმდით ინტერვიუზე. დარწმუნებული ვარ თქვენი ცოდნა და გამოცდილება დამატებით ღირებულებას შესძენს ჩვენს სამაგისტრო ნაშრომს.

უშუალოდ, ჩაღრმავებული ინტერვიუს თემას რაც შეეხება მსურს სხვადასხვა კუთხით შევეხოთ საარჩევნო სისტემის ფორმირების პროცესს. მიმოვიხილოთ ძირითად ეტაპები და საკვანძო გადაწყვეტილებები.

საქართველოს საარჩევნო სისტემის ფორმირების პროცესში მსურს მნიშვნელოვანი ყურადღება დავუთმო მოქმედი და ყოფილი მმართველი პოლიტიკური ძალის როლს და გადაწყვეტილების მიღების მოტივებს.

რაც შეეხება ინტერვიუს ტექნიკურ მხარეს, მინდა გაცნობოთ რომ მოხდება ინტერვიუს აუდიო ჩაწერა და შემდგომ მისი ტრანსკრიპტის შედგენა, რომელიც გაანალიზდება და დაჯგუფდება კოდირება/კატეგორიზაციის და მიგნებების სინთეზის სახით.

II. გახურება

1. გთხოვთ მომიყვეთ, 2003 წლიდან დღემდე თუ იყავით ჩართული რაიმე სახით საარჩევნო სისტემის ფორმირების პროცესში? (რა სახით?)
2. თქვენი აზრით, გარდამავალი დემოკრატიისთვის რამდენად მნიშვნელოვანია და რა როლი აქვს სამართლიანი და დემოკრატიული საარჩევნო სისტემის არსებობას?

3. რომელ ეტაპებს გამოყოფდით საქართველოს საარჩევნო სისტემის რეფორმირების გზაზე?

4. თქვენი აზრით, საქართველოს საარჩევნო სისტემა რამდენად აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

   - უზრუნველყოს წარმომადგენლობითი პარლამენტის ჩამოყალიბება
   - არჩევნების შედეგები ამცირებს ან პირიქით აღვივებს დაპირისპირებას და პოლარიზაციას საზოგადოებაში
   - არჩევნების შედეგად ჩამოყალიბებული მთავრობა და პარლამენტი ქმედითუნარიანი და ეფექტიანია
   - ზრდის ხელისუფლების ანგარიშვალდებულების ხარისხს მოქალაქეების მიმართ
   - ოპოზიციურ პარტიებს აძლევს გაფართოება/განვითარების შესაძლებლობას

5. თქვენი აზრით, რა არის არსებული შერეული საარჩევნო სისტემის ძირითადი ხარვეზი და გამოწვევა?

6. თქვენი აზრით, ხელისუფლების სათავეში მოსული ყველა პოლიტიკური პარტია რატომ არ თმობს შერეულ საარჩევნო სისტემას?

III. 2003-2012 წლებში საარჩევნო სისტემის რეფორმირება (ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობა)

1. თქვენი აზრით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში, საქართველოს საარჩევნო სისტემასთან მიმართებით გადადგმული ნაბიჯები ემსახურებოდა სახელმწიფო და პარტიული სისტემის განვითარებას თუ საკანონმდებლო ორგანოში საკუთარი წარმომადგენლობის მაქსიმალურად გაზრდას?

2. თქვენი აზრით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში, როდესაც საქმე ეხებოდა საარჩევნო სისტემაში გასატარებელ რეფორმებს, რა როლს თამაშობდნენ ამ პროცესში მმართველი პარტიის - ,,ლიდერები“-?

(თუ არ გაამახვილა ყურადღება ,,ლიდერის გავლენაზე“ დამატებითი შეკითხვა)

- თქვენი აზრით, პარტიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე რამდენად აისახებოდა ,,ლიდერის“ პერსონალური ინტერესი?

3. თქვენი აზრით, რამდენად შედეგის მომტანი იყო ე.წ. გარე აქტორების გავლენა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გადაწყვეტილებების მიღებაზე საარჩევნო სისტემის ფორმირების პროცესში? (ხომ ვერ გაიხსენებდით რამდენიმე მაგალითს?)

4. თქვენი აზრით, რა გავლენა ჰქონდა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს საარჩევნო სისტემის რეფორმირებაზე?

5. როგორ შეაფასებდით ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლეგიტიმაციის ხარისხს ხელისუფლებაში ყოფნის სხვადასხვა ეტაპებზე?

6. თქვენი აზრით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა იყენებდა თუ არა ადმინისტრაციულ რესურსს, ხელისუფლებაში ყოფნის დროს?

7. თქვენი აზრით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, რამდენად ძლიერი იყო შიდაპარტიული დემოკრატიის ხარისხი?

8. როგორც თქვენთვის ცნობილია, საარჩევნო მანდატების გადანაწილების პრინციპი შეიცვალა 2008 წელს და 150 მანდატი შემდეგი პრინციპით გადანაწილდა: 77 პროპორციული სისტემით, ხოლო 73 მაჟორიტარულით. ამ ინიციატივას ეწინააღმდეგებოდა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები, თუმცა მმართველი პოლიტიკური პარტიის სურვილისამებრ ეს ცვლილება განხორციელდა. თქვენი აზრით,

რატომ იყო დაინტერესებული მმართველი პოლიტიკური პარტია მაჟორიტარი დეპუტატების მანდატების მაქსიმალური შენარჩუნებით?

9. როგორც თქვენთვის ცნობილია, 2010 წლის 15 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანა, რომელმაც შეზღუდა პრეზიდენტის ძალაუფლება და საქართველო გახდა საპარლამენტო რესპუბლიკა. თქვენი აზრით, რამ განაპირობა ამ გადაწყვეტილების მიღება?

10. თქვენი აზრით, რამდენად გამართლებულია შემდეგი მოსაზრება: ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო არიან პარტიები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ერთი კონკრეტული პიროვნების ირგვლივ და ამ პარტიების საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მათ ინტერესებს ემსახურება.

IV. 2012-2020 წლებში საარჩევნო სისტემის ფორმირება (ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს მმართველობა)

1. თქვენი აზრით, ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს საარჩევნო სისტემასთან მიმართებით გადადგმული ნაბიჯები ემსახურებოდა და ემსახურება სახელმწიფო და პარტიული სისტემის განვითარებას თუ საკანონმდებლო ორგანოში საკუთარი წარმომადგენლობის მაქსიმალურად გაზრდას?

2. როგორც თქვენთვის ცნობილია, ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო 2012 წელს, ხელისუფლებაში მოსვლამდე ხაზგასმით აღნიშნავდა საარჩევნო სისტემის ცვლილების აუცილებლობას, თუმცა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, შეინარჩუნა არსებული საარჩევნო სისტემა. თქვენი აზრით, რამ განაპირობა შერეული საარჩევნო სისტემის შენარჩუნება?

3. როგორც თქვენთვის ცნობილია, 2019 წლის 20 ივნისის (ე.წ. ,,გავრილოვის ღამის“) შემდეგ მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ დაანონსა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა, თუმცა ამ ინიციატივამ საჭირო 113 ხმა ვერ მიიღო.

ეგრეთწოდებულმა ,,დაუმორჩილებელმა“ დეპუტატებმა ეს საკანონმდებლო ცვლილება ჩააგდო. თქვენი აზრით, რა იყო პროპორციული საარჩევნო სისტემის ჩაგდების რეალური მოტივი?

4. თქვენი აზრით, რამდენად შედეგის მომტანი იყო ე.წ. გარე აქტორების გავლენა ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს გადაწყვეტილებების მიღებაზე საარჩევნო სისტემის ფორმირების პროცესში? (ხომ ვერ გაიხსენებდით რამდენიმე მაგალითს? როგორ შეაფასებდით შარლ მიშელის შეთანხმების ანულირებას?)

5. თქვენი აზრით რა გავლენა აქვს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს საარჩევნო პროცესის ფორმირებაზე ქართული ოცნების მმართველობის პირობებში?

6. თქვენი აზრით, ქართული ოცნება დემოკრატიულ საქართველოში რამდენად ძლიერია შიდა პარტიული დემოკრატიის ხარისხი?

7. როგორ შეაფასებდით ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს ლეგიტიმაციის ხარისხს ხელისუფლებაში ყოფნის სხვადასხვა ეტაპებზე?

8. თქვენი აზრით, ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო იყენებს თუ არა ადმინისტრაციულ რესურსს?

9. თქვენი აზრით, რამ აიძულა ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო წასულიყო დათმობაზე და მხარი დაეჭირა 2024 წელს პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩევნების ჩატარებაზე?

10. თქვენი აზრით, საკანონმდებლო ორგანოში, ხალხის მიერ არჩეული მაჟორიტარები რამდენად პასუხობენ სოციუმში არსებულ ძირითად პრობლემებს?

11. თქვენი აზრით, რამდენად მაღალია მოქმედი საარჩევნო სისტემის და პროცედურების მიმართ ამომრჩეველთა ნდობის ხარისხი? (დაბალი ნდობის ხარისხის შემთხვევაში,

დამატებითი შეკითხვა: რა განაპირობებს ამომრჩევლის იმედგაცრუებას და ნდობის დაკარგვას?

12. თქვენი აზრით, პროპორციული საარჩევნო სისტემა რამდენად უზრუნველყოფს სამართლიან და დემოკრატიულ არჩევნებს გაუნაწილებელი მანდატების, მაღალი ბარიერის და ბლოკების აკრძალვის ფონზე?

13. თქვენი აზრით, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენად მოსალოდნელია ქართულმა ოცნებამ დანიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები?